პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 273 (10970) | ოთხშაბათი, 20 ნოემბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების შეხვედრა ეგვიპტის პრეზიდენტის წარმომადგენელთან სამხედრო მინისტრ გენერალ ამერთან (1-ლი გვერდი).

ჩეხოსლოვაკიის მოსკოვის საელჩოში (1-ლი გვერდი).

საბჭოთა ადამიანები პატრიოტული შრომით უპასუხებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვას (1-ლი გვერდი).

აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა (1-ლი გვერდი).

რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე. — **ა. ბეშიძე.** — მეექვსეულობის მკვეთრი აღმავლობისათვის (მე-2 გვერდი).

ო. დავითიძე. — გამფლანგველ-კომბინატორები — სასტიკ პასუხისგებაში (მე-2 გვერდი).

ს. როსტიაშვილი. — მომზადებული შეეხვდეთ სახალხო სასამართლოების არჩევნებს (მე-2 გვერდი).

აღვკვეთოთ უდარდელობა ჩაისა და ციტრუსების მოვლა-პატრონობაში. — **ნ. ჯანჯღავა, ი. გობეჩია.** — საზეიმო დაპირებები და შეუსრულებელი ვალდებულებანი; **გ. ზუკაიშვილი, ბ. მილუტინი.** — პლანტაციების დამუშავება პიანურიდან (მე-3 გვერდი).

ა. გობეჯიშვილი, ნ. საბანაძე, კ. კაპახიძე, მ. არაშიძე. — საბინაო ფონდს — ყოველდღიური მზრუნველობა (მე-3 გვერდი).

ნ. რამიშვილი. — ძაბალი ხალიჩა, ბალიშები და ცეკვები (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საქალაქო და რაიონული პარტიული კონფერენციები

პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები ახალ პასუხსაგებ პერიოდში შევიდა — დაიწყო რაიონული პარტიული კონფერენციები. 16-17 ნოემბერს კონფერენციები ჩატარდა ამბროლაურის, ლენტეხის, მესტიის, ონის და ცაგერის რაიონებში.

პარტიული კონფერენციები ეწყობა პარტიის XX ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საერთო-სახალხო ბრძოლის ნიშნით. თავიანთ გამოსვლებში დელეგატები ღრმა ანალიზს უკეთებენ იმ დიდ მუშაობას, რომელსაც პარტიული ორგანიზაციები, ჩვენი ქვეყნის მშრომელები ეწევიან იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელონ პარტიის მიერ დასახული ამოცანა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად ბევრი რამ გაკეთდა რაიონული და საქალაქო კომიტეტების, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მათი საქმიანობის ორგანიზაციული სტრუქტურისა და ფორმების სრულყოფისათვის. პარტიულ კონფერენციებზე მომხსენებლები და დელეგატები მოგვითხრობენ იმ პირველ შედეგებზე, რომლებიც მიღწეულია რაიონული კომიტეტების მუშაობის გარდაქმნის, მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერების შედეგად. ამასთან ერთად კონფერენციის დელეგატები ყურადღებას ამახვილებენ პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებზე, იმაზე, რომ რაიონული კომიტეტები უფრო კონკრეტულად, უფრო ოპერატიულად ხელმძღვანელობდნენ კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

რამდენიმე ხნის შემდეგ პარტიული კონფერენციები მოეწყობა რესპუბლიკის ქალაქებსა და სამრეწველო რაიონებში. ამ კონფერენციების ყურადღების ცენტრში იქნება სოციალისტური მრეწველობის შემდგომი განვითარების საკითხები.

პარტიული კონფერენციის მაღალ იდეურ დონეზე ჩატარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რაიკომის საანგარიშო მოხსენების მოფიქრებულად შედგენას. საანგარიშო მოხსენება მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტია, ამიტომ იგი კოლექტიურად უნდა შედგეს. საჭიროა მის შედგენაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ პარტიული კომიტეტის წევრებმა, პარტიულმა აქტივმა. გასულ წელს იყო შემთხვევები, როცა კონფერენციებზე აკეთებდნენ მოუმზადებელ, ზერელე, არათვითკრიტიკულ მოხსენებებს. ასეთ მდგომარეობას არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევურიგდეთ.

საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის, მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობაა. სამწუხაროდ, ბევრი პარტიული ორგანიზაცია საკმაოდ არ იბრძვის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. სერიოზული ნაკლოვანებებია საბინაო მშენებლობის, მოსახლეობის საგაჭრო მომსახურების საქმეში.

სასოფლო რაიონების პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს სამშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები, ჩაის, ვენახის, ციტრუსების, ხეხილის ბაღების მოვლა-პატრონობის, პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების საკითხები. ყველა ეს საკითხი პარტიული კონფერენციების პრინციპული მსჯელობის საგანი უნდა იყოს.

კონფერენციათა მონაწილენი თავიანთ გამოსვლებში მთავარ ყურადღებას აქცევენ პარტიული პროპაგანდის, კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინური აღზრდის საკითხებს, იმას, თუ როგორ არის დაყენებული კომუნისტური პარტიის ისტორიისა და თეორიის შესწავლა, რა ღონისძიებები ხორციელდება პრაქტიკასთან თეორიის კიდევ უფრო მჭიდროდ დაკავშირებისათვის, რა კეთდება პოლიტიკური აგიტაციის იდეური შინაარსის ამაღლებისათვის. პარტიულმა ორგანიზაციებმა, პროპაგანდისტებმა და აგიტატორებმა ყველა მშრომელს ფართოდ უნდა გააცნონ და შეასწავლონ საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა, აგრეთვე ნ. ხრუშჩოვის მოხსენება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წელი“ და საიუბილეო სესიის სხვა მასალები.

პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და ხელმძღვანელობის პრინციპების აღდგენამ დიდად შეუწყო ხელი კომუნისტების აქტივობის ზრდას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის კიდევ უფრო ფართოდ გაშლას. ამას ნათლად მოწმობს პარტიული კონფერენციების მუშაობა. კონფერენციებზე დელეგატები აკრიტიკებენ პარტიის რაიონული კომიტეტების, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. დელეგატები ღრმა ანალიზს უკეთებენ ცუდი მუშაობის მიზეზებს, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ ადამიანებს, რომლებიც მოწყვეტილი არიან მასებს, უსულგულოდ ეკიდებიან მშრომელთა საჭიროებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად ებრძვიან სპეკულაციას, სოციალისტური ქონების გაფლანგვა-განიავებას. გაფლანგვა-განიავებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის საკითხები ფართოდ უნდა იქნას განხილული პარტიულ კონფერენციებზე.

კონფერენციის მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია პარტიული ორგანოების არჩევნები. საჭიროა პარტიულ ორგანოებში არჩეულ იქნან ამხანაგები, რომლებსაც უნარი შესწევთ ხელმძღვანელობა გაუწიონ რაიონის ან ქალაქის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას, გულისხმიერად დაუგდონ ყური მშრომელთა მოთხოვნებს, მტკიცედ დაიცვან კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპი.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა უდიდესი სიამაყის გრძნობით იდღესასწაულეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავი. ამქამად საბჭოთა ადამიანები ინტერესით სწავლობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის მასალებს, ფართოდ აჩაღებენ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის.

1958 წლის 27 იანვარს გაიმართება საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობა. ახალი საწარმოო წარმატებებით შეხვდნენ პარტიის ყრილობას — ეს არის რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის ყველაზე მხურვალე, ყველაზე სანუკვარი სურვილი და მისწრაფება. პარტიული კონფერენციების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარება ხელს შეუწყობს პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, მშრომელთა მთელი ძალების კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვას პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის საბრძოლველად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი დროშა—ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივს

გუშინ, 19 ნოემბერს, ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის რკინიგზელებს დიდი ზეიმი ჰქონდათ. მათ მიმდინარე წლის მესამე კვარტალში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის გადაეცათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

დროშის გადაცემა შედგა თბილისში რკინიგზელის სახლში, სადაც ზეიმზე დასასწრებლად მოვიდნენ ამხანაგები — **ვ. მეკავანაძე, გ. ჯავახიშვილი, მ. ჩუბინიძე, გ. ქადაგიძე, გ. გეგეშიძე, თ. ჯანელიძე,** ამიერკავკასიის რკინიგზის განყოფილებათა კოლექტივების მოწინავე ადამიანები, რკინიგზის ტრანსპორტის სამეურნეო, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

საზეიმო სხდომა გახსნა რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **გ. ფორფოლაძემ,** რომელმაც სიტყვა მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. **ვ. მეკავანაძეს.**

ამხ. მეკავანაძემ მიულოცა რკინიგზელებს ამიერკავკასიის რკინიგზელებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი დროშის მოპოვება, აღნიშნა, რომ რკინიგზელები მიღწეულით არ უნდა დაკმაყოფილდნენ, შეგნებული დისციპლინის შემდგომი განმტკიცებით, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით და შინაგანი რეზერვების უფრო სრული გამოყენებით უნდა მიაღწიონ ახალ, სასახელო წარმატებებს.

ამხ. მეკავანაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის სახელით ერთხელ კიდევ მიულოცა რკინიგზელებს ეს დიდი გამარჯვება და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დავალებით გადასცა დროშა, რომელიც მიიღო ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა ამხ. **დ. მამაცაშვილმა.**

ამხ. მამაცაშვილმა მადლობა გადაუხადა პარტიას და მთავრობას რკინიგზელთა შუამობის მაღალი შეფასებისათვის და აღნშნა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზელები, კისრულობენ ახალ, გადიდებულ ვალდებულებათა შესრულებას, მიმდინარე წლის გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით განაღდებას.

სხდომაზე წაკითხულ იქნა სომხეთის კპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მისასალმებელი დეპეშა. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების შუშაკთა სახელით — ამავე განყოფილების უფროსმა ამხ. **დ. ბერიძემ,** ლენინაკანელ რკინიგზელთა სახელით — ლენინაკანის საელმავლო დეპოს უფროსმა მემანქანემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. **ს. მაგნიშიანმა,** სოხუმის სავაგონო უბნის უფროსმა გამსინჯველმა ამხ. **ა. შუბლაძემ** და თბილისი სალიანდაგო დისტანციის ახალგაზრდა მუშამ ამხ. **ნ. გოგუაძემ.** რკინიგზელებს მიესალმა თბილისის რკინიგზის სკოლებში მოსწავლე პიონერთა რაზმი.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა კონცერტი.

ჩეხოსლოვაკიის მოსკოვის საელჩოში

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს შენობაზე დახრილია ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სახელმწიფო ალამი. ერთ-ერთ დარბაზში პოსტამენტზეა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობრის ამხანაგ ანტონინ ზაპოტოცკის პორტრეტი.

დილის 9 საათზე პოსტამენტთან დგება მოსკოვში მცხოვრები ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მოქალაქეთა საპატიო ყარაული. პრეზიდენტის გარდაცვალების გამო სამძიმრის გამოსათქმელად მოვიდნენ საელჩოს თანამშრომლები, სტუდენტები და ასპირანტები, სამხედრო აკადემიათა მსმენელები.

ნაშუადღევის 3 საათზე საელჩოში მოვიდნენ ამხანაგები ნ. ი. ბელიაევი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. ბულგანინი, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიკოიანი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, ა. ნ. კოსიგინი, მ. გ. პერვუხინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი და ღრმა სამძიმარი გამოთქვეს ამხანაგ ანტონინ ზაპოტოცკის გარდაცვალების გამო.

მწუხარების დუმილით დგანან ისინი რამდენიმე წუთს ამხანაგ ანტონინ ზაპოტოცკის პორტრეტთან. შემდეგ საბჭოთა მთავრობის და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები ხელს აწერენ მიმსვლელთა წიგნში.

მაშინ, როცა პრაღაში სამგლოვიარო მიტინგი მიმდინარეობდა. ჩეხოსლოვაკიის მოქალაქენი, რომელნიც მოსკოვში ცხოვრობენ, შეიკრიბნენ საელჩოს შენობაში და დიდი მწუხარებით ისმენდნენ ტრანსლაციას პრაღიდან. (საკდესი).

საბჭოთა ადამიანები პატრიოტული შრომით უპასუხებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვას



ჩვენი სამშობლოს სადიდებლად

როგორც ყოველთვის, ამ შემოდგომაზეც ცხვარი უზარმაზარ საზამთრო საძოვრებზე გადავრეკეთ. მართალია, გზაში ცუდი ამინდი შეგვხვედრა, მაგრამ ფარებს არაფერი არ მოჰკლებია, რადგან ჩვენი მწყემსები პირუტყვს საუკეთესოდ უვლიდნენ.

ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულმა ახლადდაბინავებულებს მოგვისწრო. დიდი გულისყურით ვისმენდით რადიოთი ამხანაგ ნ. ხრუშჩოვის მოხსენებას „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წელი“. განუზომელ სიხარულს ვგრძნობდით იმ დიადი ცვლილებების გამო, რაც ამ ორმოცი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში მოხდა.

მარტო ჩვენი სოფლის მაგალითი რად ღირს. თვითეულ ჩვენგანს კარგად ახსოვს, რა მიყრუებული და უბადრუკი იყო ძველათ სოფელი ჭართალი, სადაც წერა-კითხვის მცოდნე სანთლით უნდა ეძებნათ. ახლა ჩვენს სოფელს აქვს შვიდწლიანი სკოლა, საექიმო პუნქტი, ბიბლიოთეკა, მაღაზია. კოლმეურნეთა უმრავლესობა კეთილმოწყობილ სახლებში ცხოვრობს.

ჩვენ პირნათლად შევასრულეთ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება. მატყლის გამოსავლიანობის წლიური დავალება 167 პროცენტით გავანაღდეთ თვითეულ ცხვარზე 2,8 კილოგრამის ნაცვლად 4,8 კილოგრამი მატყლი მივიღეთ.

საუკეთესო წარმატებას მიაღწია მწყემსმა იოსებ ლაგაზაშვილმა, რომლის ფარაში თვითეულ ცხვარზე 7,8 კილოგრამი მაღალხარისხოვანი მატყლი მიიღეს. კარგი მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე მეცხვარეებს ალექსი ჭიკაიძეს, გრიგოლ გოგიშვილს, კოფია ციხელაშვილს და სხვებს.

ცხვარში წასულთ არც შინ დარჩენილები ჩამორჩენიან. ჩვენმა კოლმეურნეობამ რძის წარმოების მიმდინარე წლის გეგმა 1 ნოემბრისათვის 136 პროცენტით შეასრულა.

გავეცანით რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის მიმართვას, ჩვენ, ნოღაეთში მყოფი მწყემსები ვკისრულობთ საუკეთესოდ გამოვაზამთროთ ცხვარი, წარმატებით ჩავატაროთ დოლი, მთლიანად შევინარჩუნოთ ნამატი და კიდევ უფრო გავზარდოთ მატყლის, ხორცისა და რძის წარმოება.

ბ. ჯიკაიძე,
დუშეთის რაიონის სოფელ ჭართლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგე.

სიტყვას საქმეც მოჰყვა

ქარელი. (საკ. კორ.). სასახელო მაჩვენებლები მოიპოვა წელს ბრეთის მეალილეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა. აქ მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 66.500 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ხილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 35.350 ცენტნერისა.

ხილის ბარაქიანი მოსავალი მოიყვანეს აგროუბნებმა, რომლებსაც ი. მჭედლიშვილი, დ. მუშლაძე, შ. ბედიანაშვილი და ნ. კობალაძე ხელმძღვანელობენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვას მეურნეობის მუშები და მოსაშახურეები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ. ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. დღითიდღე ძლიერდება ტემპი საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოებისა, როგორიც არის ბაღებში მწკრივთაშორის ხვნა, მცენარეთა ძირების შემობარვა, ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა და სხვ.

ახალი შრომითი აღმავლობით შეხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის მიმართვას საბჭოთა ხალხისადმი. მიმართვის გაცნობისას გორის ბამბეულის საფეიქრო კომბინატის მოწინავე მეფთილემ ნ. ქამუშაძემ იკისრა ნოემბერსა და დეკემბერში ყოველდღიური საწარმოო დავალებები შეასრულოს 120-125 პროცენტით. ასეთივე ვალდებულება აიღეს ავჭალის შუშის ქარხნის მოწინავე მუშებმა ა. აკინინმა და ბ. ახვლედიანმა.

სურათებზე: მარცხნივ—გორელი მეფთილე ნ. ქამუშაძე თავის სამუშაო ადგილზე; მარჯვნივ — მემანქანე ბ. ახვლედიანი და ა. აკინინი თვალყურს ადევნებენ ბოთლების სამსხმელო-დამყალიბებელი დანადგარის მუშაობას.

ფოტო შ. გოქაძის და შ. ჩხეტიანისა.

მშენებლების დასახმარებლად

ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ქსხის აგურ-კრამიტის და საკედლე ბლოკების კომბინატის კოლექტივში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიის მიმართვამ საბჭოთა ხალხისადმი. კომბინატის კოლექტივმა აწონ-დაწონა თავისი შესაძლებლობანი და იკისრა ახალი სოციალისტური ვალდებულებანი: მიმდინარე წლის ბოლომდე მშენებლებისათვის მისაწოდებლად წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვას 2 მილიონი ცალი აგური და 200 კუბმეტრი აგურის დიდი საკედლე ბლოკები, აითვისოს მაღალხარისხოვანი კრამიტის გამოშვება და მოამზადოს წარმოება მომავალი წლიდან კრამიტის მასობრივად გამოშვებისათვის.

საწარმოო გეგმის გადამეტებით აგურისა და ბლოკების გამოშვებაში განსაკუთრებით გამოირჩევიან მუშები: ა. ადამაშვილი, ვ. კელპატრიშვილი, ნ. მელიქიშვილი, ნ. ვორობიოვი, ლ. არაბიძე, გ. ხიზანიშვილი.

პ. მათაგვარია.

აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა

პროზისა და დრამაგზურგიის სექციებში

19 ნოემბერს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში გაიმართა პროზისა და დრამატურგიის სექციების გაერთიანებული სხდომა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა პროზის სექციის თავმჯდომარემ მწერალმა დ. შენგელაიამ. აფხაზური მხატვრული პროზის ზესახებ მოხსენებით გამოვიდა ბ. ჟღენტი, ხოლო აფხაზი მწერლების დრამატულ ნაწარმოებთა შესახებ მოხსენება გააკეთა შ. აფხაიძემ.

აფხაზი პროზაიკოსებისა და დრამატურგების ნაწარმოებთა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მ. ასათიანმა, ა. ბელიაშვილმა, ხ. ბღაჟბამ, შ. ინალიფამ, ს. კლდიაშვილმა, მიხ. მრევლიშვილმა, ე. ფეიგინმა, ს. ჭანშიაშვილმა, ბ. შინკუბამ, რ. ჯაფარიძემ, ს. წვერავამ.

დღიური

20 ნოემბერი

საღამოს 8 საათზე თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ნაჩვენები იქნება სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართული დასის დადგმა — გ. გაბუნიას — „მზის ამოსვლის წინ“.

პლებანოვის სახელობის კლუბში მოეწყობა აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი.

თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კლუბში გთვალისწინებულია აფხაზეთის ასსრ ნაკრები თვითმოქმედი კოლექტივის კონცერტი.

რუსთაველის მეტალურგების წინაშე გამოვა აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო ბრიგადა „გვესტუმრეთ სოხუმში“.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პროზისა და დრამატურგიის სექციებში. სურათზე: ქართველი და აფხაზი მწერლების ერთი ჯგუფი. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

როგორც ვიუწყებოდით, 18 ნოემბერს, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში სოხუმის დრამატული კოლექტივის აფხაზურმა დასმა აჩვენა შ. ფაჩალიას კომედია „ბუნდა“.

პიესის დადგმა ეკუთვნის საქართველოს სსრ სახალხო არტისტს შ. ფაჩალიას, მხატვარია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. ყაზბეგი, კომპოზიტორი — ო. თევდორაძე.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ს. ფაჩალია, ა. აგრბა, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი რ. აგრბა, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ა. არგუნი-კონოშოკი, მ. კოვე, აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტები ი. კოკოსკერია, მ. კასლანძია, ვ. დბარი, ს. კობახია, მ. ფაჩალია, ჯ. მიქვაბია, ვ. მარღანია და სხვ.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

* * *

გუშინ მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში სოხუმის დრამატული კოლექტივის ქართულმა დასმა აჩვენა კარლო გოლდონის კომედია „ორი ბატონის მსახური“.

პიესის დადგმა ეკუთვნის რეჟისორ ლევან მირცხულავას, მხატვარია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნიკოლოზ ყაზბეგი, კომპოზიტორი — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კოტე მელვინეთ-უხუცესი.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტები ტ. ხორავა, ვ. ნინიძე, ა. ბოკუჩავა, მსახიობები თ. ელბაქიძე, გ. ბერიკაშვილი, ბ. წიფურია, ნ. გრძელიშვილი და სხვ.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების შეხვედრა ეგვიპტის პრეზიდენტის წარმომადგენელთან სამხედრო მინისტრ გენერალ ამერთან

19 ნოემბერს კრემლში გაიმართა საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელების შეხვედრა ეგვიპტის პრეზიდენტის წარმომადგენელთან სამხედრო მინისტრ გენერალ აბდელ ჰაქიმ ამერთან.

საბჭოთა კავშირის მხრივ შეხვედრაში მონაწილეობდნენ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. მიკოიანი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე მ. გ. პერვუხინი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი, აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ხ. სემიონოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგე გ. ტ. ზაიცევი.

ეგვიპტის მხრივ მონაწილეობდნენ: ეგვიპტის პრეზიდენტის წარმომადგენელი სამხედრო მინისტრი გენერალი აბდელ ჰაქიმ ამერი, ეგვიპტის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში მოჰამედ ა. ელ კუნი, მთავარსარდლის შტაბის უფროსი ბრიგადირი მუჰამედ ჰაფეზ ისმაილი, პრეზიდენტის მდივანი სამი შარაფი.

საუბრის დროს, რომელსაც გულწრფელი და გულითადი ხასიათი ჰქონდა, ორივე სახელმწიფოს ურთიერთობაში არსებული სრული ურთიერთგაგებისა და მეგობრობის სულისკვეთებით განხილულ იქნა პოლიტიკური და ეკონომიური თანამშრომლობის საკითხები, აგრეთვე სამხედრო საკითხები, რომლებიც იყო საგანი მოლაპარაკებისა ეგვიპტის დელეგაციასთან მოსკოვში სამხედრო მინისტრის გენერალ ამერის ყოფნის დროს.

მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს მოლაპარაკებით მიღწეული შედეგების გამო. (საკდესი).

რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე

მევენახეობის მკვეთრი აღმავლობისათვის

მევენახეობა ერთ-ერთი წამყვანი დარგია ამბროლაურის რაიონის სოფლის მეურნეობაში. აქ შესანიშნავ შედეგებს იძლევა „ალექსანდრიულის“ და „რაჭული თეთრას“ ვაზი, რომლის ყურძნისაგან საუკეთესო ნახევრადტკბილი ღვინოები მზადდება.

სკკპ XX ყრილობის შემდეგ განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა რაიონში მევენახეობის შემდგომ განვითარებას. კოლმეურნეობებში ყოველწლიურად შენდება ახალი ვენახები. მარტო წელს კოლმეურნეობებმა ვენახების ფართობი 32 ჰექტარით გაზარდეს, ხოლო სიმეჩხრის სალიკვიდაციოდ ათეულ ათასობით ახალი ვაზი დარგეს.

რაიონულმა პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, დიდი ყურადღება დაუთმო ყურძნის მოსავლიანობის გადიდების საკითხებს. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ მევენახეობის განვითარების საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. მომხსენებელმა — რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. შ. კახიძემ განაცხადა, რომ სოფლების ხვანჭკარის, პირველი და მეორე ტოლის, ჭყვიშის, ღადიშის, ღვარდიის, ბარეულის, ბუგეულის, აბანოეთის, კრიხისა და ზნაკვის კოლმეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციები სუსტად იბრძვიან მევენახეობის განვითარებისათვის.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ სოფელ წესის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობას უკანასკნელი 4-5 წლის მანძილზე ყურძნის მაღალი მოსავალი მოჰყავს. ოქტომბრის მე-40 წლისთავთან დაკავშირებით აქ იკისრეს ჰექტარზე მიეღოთ 52 ცენტნერი ყურძენი. ამ ვალდებულების შესრულებისათვის კომუნისტებმა აქტიურად დარაზმეს სოფლის მშრომელები, და აგროტექნიკურ ღონისძიებათა სწორად განხორციელების შედეგად თვითეულ ჰექტარზე 52 ცენტნერის ნაცვლად 69 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი მოიყვანეს, ამასთან ორმაგად შეასრულეს ყურძნის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა. მევენახეობის განვითარებაში ასეთივე კარგი შედეგები აქვთ სადმელის სტალინის სახელობის, ბოსტანის ენგელსის სახელობის, ხიდიკრის, მუხლისა და საკეციის კოლმეურნეობებს. მაგრამ ჯერ კიდევ სუსტად წარმოებს ამ მოწინავე კოლმეურნეობათა და მევენახეთა გამოცდილების შესწავლა და გავრცელება.

— 1965 წლამდე, — თქვა კამათში სიტყვით გამოსულმა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. დავითუნიანმა, — ბარის ზონის კოლმეურნეობებში მ-წის სავარგულებს ვაზის კულტურა დაიკავებს, ხოლო მთიან ზონაში მნიშვნელოვნად გაფართოვდება ხეხილის ბაღები. შეუწყნარებელია, რომ, მაშინ როცა ჩვენს წინაშე ასეთი დიდი ამოცანებია დასახული, სოფელ ხვანჭკარის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ვაზი მოუფლობით ჯნიდება. ვენახებში არ შეაქვთ მინერალური და ორგანული სასუქები. ასეთივე მდგომარეობაა ბარის ზონის სხვა კოლმეურნეობებში, მაგრამ რაიკომის ინსტრუქტორები და რაიკომის მდივანი ამხ. ა. მურუსიძე ნაკლებად იცნობენ კოლმეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ცხოვრებას, ღრმად ვერ სწვდებიან სოფლის მეურნეობის ეკონომიკას.

ხვანჭკარის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. ტყემელაშვილმა გააკრიტიკა მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორი ამხ. ა. გაგოშიძე და სადგურის სხვა მუშაკები იმისათვის, რომ ისინი არ ზრუნავენ მევენახეობაში მექანიზაციის განხორციელებისათვის. მან თქვა, რომ ვენახებში ყველა სამუშაო ხელით სრულდება, რაც დიდძალ მუშახელსა და დროს მოითხოვს.

კომკავშირის რაიკომის მდივანი ამხ. ა. ჩიტალაძე თავის სიტყვაში შეეხო ახალგაზრდობაში მუშაობის საკითხებს. როგორც მან აღნიშნა, მარტო წელს სხვადასხვა ხელიგნური საქციელისათვის 54 კომკავშირელი და ახალგაზრდა არის მიცემული პასუხისგებაში, რაც კომკავშირული ორგანიზაციების სუსტი მუშაობით აიხსნება.

ძველმა ბოლშევიკმა ამხ. ი. არჩვაძემ მკაცრად გააკრიტიკა რაიკავშირის ხელმძღვანელი მუშაკები (გამგეობის თავმჯდომარე ვ. ჯოხაძე). ისინი საგაჭრო ქსელში ხშირად იღებენ პასუხისგებაში ნამყოფ პირებს, რაც ხელს უწყობს სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-განიავებას.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე სოფელ წესის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. რ. ნატმელაძე, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორი ამხ. გ. ჯინჭარაძე, ლიხეთის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ა. კანთელაძე, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. ნ. ჯაში და სხვები. უნდა აღინიშნოს, რომ კამათში მონაწილე დელეგატები თავიანთ გამოსვლებში ერიდებოდნენ პარტიის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკების გაკრიტიკებას.

კონფერენციამ დასახა ღონისძიებანი პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, აირჩია პარტიის რაიონული კომიტეტის ახალი შემადგენლობა და დელეგატები საქართველოს კპ XVIII ყრილობაზე დასასწრებად.

* * *

შედგა ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. შ. კახიძე, მეორე მდივნად — ამხ. ი. იმედაძე, მდივნად — ამხ. ა. მურუსიძე.

ა. ბეშიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა თბილისის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში შექმნეს საანგარიშო-გამომყვანი ელექტრომანქანა, რომელსაც იყენებენ ლითონდასამუშავებელ საწარმოებში.

სურათზე: ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ჯგუფი საანგარიშო-გამომყვან მანქანასთან (მარჯვნიდან მარცხნივ): ინჟინრები ა. შაპირო, გ. ქაჩიბაია და უფროსი ტექნიკოსი ლ. გამარიანი საანგარიშო-გამომყვანი მანქანის რეგულირებისას.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა და გ. კიკვაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

როგორ შევამციროთ ბეტონის სამუშაოთა შესრულების ვადები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე აღინიშნა, რომ საბჭოთა ქვეყანას მოეპოვება უზარმაზარი ჰიდრორესურსები, რაც საშუალებას გვძლევს ვაშენოთ ძლავრი ჰიდროელექტროსადგურები და უზრუნველყოთ დაახლოებით 15 წელიწადში კოლოსალური რაოდენობა ელექტროენერგიის — 800-900 მილიარდი კილოვატსაათის გამომუშავება.

ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის მარტო მეექვსე ხუთწლედში ენერგეტიკული მშენებლობის გეგმების შესასრულებლად დაგვჭირდება დაახლოებით 25 მილიონი კუბმეტრი ბეტონის სამუშაოების შესრულება, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ასეთი მოცულობით ბეტონის ჩასხმას მოუნდება მთელი იმ ხარჯების 35-50 პროცენტი, რაც ჰიდროელექტროსადგურებიო მშენებლობის დასამთავრებლად უნდა გავწიოთ, ცხადი ვახდება, რა დიდი მნიშვნელობა ენენება ბეტონის სამუშაოთა ღირებულების შემცირებას, ამ სამუშაოთა შეკრულების ვადების შემჭიდროებას.

დგება საკითხი: როგორ მივაღწიოთ ამ სამუშაოების ღირებულების შემცირებას, მოკლე ვადაში შესრულებას? ეს მეტად დიდი და რთული, მაგრამ ამასთან გადაუდებელი საკითხია და მისი გადაჭრა მოითხოვს ღრმად მოფიქრებას, დიდი მასშტაბის სახელმწიფოებრივი ღონისძიებების განხორციელებას.

ამიტომ იყო, რომ ქალაქ ვოლგსში ამას წინათ შემდგარმა საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკურმა თათბირმა ბეტონის სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის განხორციელებისა და ზამთრის პირობებში ბეტონის სამუშაოების შეუფერხებლად წარმოების ღონისძიებათა შესახებ საბჭოთა ჰიდროენერგეტიკოსი მშენებლების, დამპროექტებლებისა და სპეციალისტი ინჟინრების საერთო ყურადღება მიიპყრო.

თათბირს 500 წარმომადგენელი დაესწრო საბჭოთა კავშირის 200-მდე სამეცნიერო-ტექნიკური, სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციიდან. მის მუშაობაში ჩვენი რეპუბლიკიდან ჩასულმა სპეციალისტებმაც მიიღეს მონაწილეობა, ხოლო ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი პ. წულუკიძე გამოვიდა სპეციალური მოხსენებით ბეტონის ტექნოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

საბჭოთა კავშირის ჰიდროენერგომშენებლებს ბეტონის ტექნოლოგიის დამუშავების საკითხებში, აგრეთვე ზამთრის თვეებში ბეტონის სამუშაოთა მოცულობით მსოფლიოში წამყვანი ადგილი უჭირავთ.

საბჭოთა ჰიდროენერგეტიკოსი მშენებლები ზამთრის თვეებში ნაგებობებს ამბტონებენ ე. წ. „თერმოსის“ მეთოდით, ფართოდ იყენებენ აგრეთვე პლასტიფიკატორებს, ხოლო ბოლო დროს ხელი მიჰყავს „ცივი“ ბეტონის გამოყენებასაც. ყოველივე ეს იმის საშუალებას გვაძლევს, რომ ბეტონის სამუშაოთა შესრულება ვაწარმოოთ მთელი წლის განმავლობაში.

არის კიდევ ერთი მძლავრი, ჯერ გამოუყენებელი რეზერვი იმისათვის, რომ ბეტონის სამუშაოები ნაკლებადაც დაგვიჯდეს და უფრო სწრაფად განვავითაროთ. ეს რეზერვია ბეტონის დამზადების, ტრანსპორტირებისა და ჩასხმის კომპლექსური მექანიზაციის განხორციელება.

ახლა ტრანსპორტირება უფრო ხშირად ხდება თვითსაცლელი ავტომანქანებით და ბეტონჩასასხმელი ამწეებით, რომლებსაც სხვადასხვა სისტემის ბადიები აქვთ. ბეტონის ჩასხმა ფიცრულ კალაპოტში თუ ქარგილში ხდება ბაგრი-ამწეებით, ტრანსპორტიორებით ან ბეტონტუმბოებით. ამავე დროს არ ვიყენებთ მაღალი სიხშირის ვიბრატორებს, თვითმავალ ვიბრატორებს, მცირეგაბარიტიან ამწეებს, ქვიშის ტენიანობის საზომ ხელსაწყოებს, ინერტული მასალის კლასიფიკატორებს და მთელ რიგ იმ მექანიზმებს, რომელთა გამოშვება ჩვენს მრეწველობას შეუძლია. ამის შედეგია, რომ ხშირად გამკვრივებული ბეტონის მასაში წარმოიშობა ხოლმე ბზარი, საჭირო ხდება დამატებითი სამუშაოების შეასრულება (გაბზარული ადგილების ცემენტაცია), რაც, ცხადია, იწვევს მშენებლობის გაძვირებას.

5 დღეს გასტანა ამ თათბირმა და შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებები ბეტონის სამუშაოთა წარმოების დაჩქარების, ღირებულების შემცირების და ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. თათბირზე მიღებულ დასკვნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოში ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის წარმოებისათვის. ამიტომ საჭიროა მისი მუშაობა მასალები დაწვრილებით გავაცნოთ საქართველოს ჰიდროენერგეტიკული მშენებლობების კოლექტივებს და დამპროექტებლებს ლექციებ-მოხსენებების მოწყობით. ჩვენი რესპუბლიკის ჰიდროენერგოშენებლების ღირსების საქმეა შეუდგნენ თათბირზე მოწონებულ რეკომენდაციათა განხორციელებას და ამ მხრივ პირველი წვლილი შეიტანონ ბეტონის სამუშაოთა ჩქარისნულად და მაღალხარისხოვნად წარმოების ტექნოლოგიის დადგენაში.

ვ. გრძელიშვილი,
საქართველოს „ჰიდროენერგოპროექტის“ უფროსი ინჟინერი.

გამფლანგველ-კომბინატორები — სასტიკ პასუხისგებაში

წლების მანძილზე ადიგენის რაიონული კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ მუშაობდა ვინმე შოთა ერაძე. რატომ მაინცდამაინც ის წარადგინეს გამგეობის თავმჯდომარის პოსტზე ასარჩევად, არავინ იცის, მაგრამ თვითონ შ. ერაძემ შესანიშნავად იცოდა, თუ როგორ მოეთბო ხელი ასეთი ნდობით. კოოპერატივს ჰქონდა პურის საცხობი. შ. ერაძემ არც აცივა, არც აცხელა და საცხობის გამგედ თავისი მამა ტრიფონი დანიშნა. მამა-შვილმა მოითათბირეს და სასაუზმის მებუფეტედ თავიანთი მახლობელი გ. ბაკურაძე მოიწვიეს. ბაკურაძეს მოჰყვნენ — ნიკოლოზ ლობჟანიძე, რომელსაც კოოპერაციული დამამზადებლის როლი უნდა შეესრულებინა, შემდეგ ვინმე ნ. იობიძე, რომელსაც სამრეწველო საქონლის სექციის გამგედ უნდა ემუშავნა, მაგრამ საჭირო გახდა კიდევ ერთი კაცის შოვნა. ეს კაცი იყო დავით არწივიძე, რომელსაც ელოდა ღვინის საწყობის გამგის თბილი ადგილი.

ამით დაამთავრა შ. ერაძემ კოოპერაციული სავაჭრო ქსელის სანდო, ახლობელი და ერთგული ადამიანებით დაკომპლექტებისათვის მუშაობის პირველი ეტაპი.

რას არ ახერხებდნენ ისინი, რა კომბინაციებს არ აწყობდნენ! დამამზადებელმა ნ. ლობჟანიძემ ერთ-ერთი ოსტატური კომბინაციით რაიონულ კოოპერატივს საქონლის მთელი ჯოგი გამოაცალა ხელიდან, ეს საქონელი ხორცად აქცია და საგრძნობი თანხა ჩაიჯიბა, ხოლო კოოპერატივს ხორცის ნაცვლად კიტრი, პამიდორი და ბოსტნეული ჩაბარა ორმაგად და სამმაგად გადიდებულ ფასში.

ადიგენის კოოპერაციულ ქსელს ჰქონდა ღვინის საწყობი, რომელიც ერთობ შემოსავლიან ობიექტად ითვლებოდა, მაგრამ როგორ უნდა შეენარჩუნებინათ ადიგენელ „კოოპერატორებს“ ეს საწყობი, როცა საწყობის გამგის საშტატო ერთეული არ იყო გათვალისწინებული? გამოსავალი მალე იპოვეს. მოძებნეს ღვინით ვაჭრობაში გამოცდილი კაცი, დავით არწივიძე, რომელიც წინადადების უმალვე დათანხმდა ემუშავნა საწყობის გამგედ უხელფასოდ. ბავშვივე მიხვდება, თუ რა მოსაზრებით დათანხმდა ამას ეს ვაჟბატონი. შეუდგა დ. არწივიძე ღვინის შესყიდვას რაიონებში კოლმეურნეებისაგან, ზოგისა — ნაღდზე, ზოგისა — ნისიად, ხელი მიჰყო შეძენილი ღვინის ფალსიფიკაციას, ჩამოჰქონდა ეს ღვინო ადიგენში, ხოლო ღვინის რეალიზაციით შემოსული თანხას თვითონვე აგროვებდა და ამ გზით ნახევარი მილიონი მანეთი ჯიბეში ჩაიდო.

მფლანგველ-კომბინატორთა ჯგუფის სხვა წევრები უფრო მოკრძალებული მადისა აღმოჩნდნენ. მაგალითად, დ. არწივიძის ქვისლს დავით კიკნაველიძეს, რომელიც კოოპერაციულ ფარდულში გამგე-გამყიდველად მუშაობდა, 45.000 მანეთი აღმოაჩნდა მითვისებული, ნიკოლოზ ლობჟანიძეს — 55.000, მანეთი, [illegible] ნიკოლოზ ბუბუნაიძეს — 61.500 მანეთი, ალიოზ ფარცხალაშვილს, კოოპერატივის ბუხჰალტერს, რომელმაც არივ-დარია საბუხჰალტრო აღრიცხვა, რათა მთელი ეს კომბინაციები შეუმჩნეველი დარჩენილიყო, — 36.800 მანეთი. კომბინატორთა ჯგუფის სულისჩამდგმელმა და მამამთავარმა შ. ერაძემ კი... ადიგენში ორსართულიანი სახლი აიშენა, შეიძინა „ზიმის“ მარკის ავტომანქანა, რომელიც თავისი ძმის — პარტიის ადიგენის რაიკომის ინსტრუქტორის სახელზე გააფორმა და რაკი ამ უხერხულობას „შემოუარა“, შემდეგ გაყრილ ცოლს თბილისში ცალკე ბინა უყიდა (ამბობენ, ამისათვის საგრძნობი თანხა შემოივლო თავზეო) და თვითონაც ხელგაშლილად ცხოვრობდა.

მოდიოდნენ და ამოწმებდნენ თუ არა ცეკავშირიდან ადიგენის კოოპერატორების მუშაობას? — მოდიოდნენ, ამოწმებდნენ, მაგრამ... ვერაფერს „ისეთს“ ვერ პოულობდნენ.

1957 წლის 11 მაისის აღწერისას დ. არწივიძეს საწყობში 427.000 მანეთის დანაკლისი აღმოაჩნდა. იმის ნაცვლად, რომ არწივიძე პასუხისგებაში მიეცა, რაიონული კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარემ შ. ერაძემ მას ყოველნაირი დახმარება გაუწია მდგომარეობიდან თავის დაღწევაში. აფრინა ხალხი მაიაკოვსკის რაიონში, გამოუწერა მათ 15.000 მანეთი და დაავალა:

— სასწრაფოდ იყიდეთ კოლმეურნეებისაგან ღვინო, ზოგი ნაღდ ფულად, ზოგიც ნისიად, იხსენით მეგობარი გაჭირვებისაგან!

მალე შ. ერაძე თვითონაც გაემგზავრა „ძმის ზიმით“ მაიაკოვსკისაკენ საქმის მოსაჭახრაკებლად, მაგრამ... არწივიძე და მისი ძმაბიჭები მათთვის სრულიად მოულოდნელად დაეკავეს მილიციის მუშაკებმა.

რატომ დროულად ვერ შენიშნეს ადგილობრივ ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებში მფლანგველთა ამ ბრბოს არსებობა, რამ გამოიწვია მფლანგველების თავაშვებულობა? აღრიცხვის საქმის მოუწესრიგებლობამ, კონტროლის სისუსტემ და იმის უგულებელყოფამ, რომ მუშაკების შერჩევა უნდა ხდებოდეს მათი პოლიტიკური და საქმიანი ნიშნების მიხედვით და არა მეგობრული ურთიერთობის, ნათესაობისა და ერთგულების ნიშნის მიხედვით. შ. ერაძე, დ. არწივიძე და სხვები მალე წარსდგებიან საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე, მაგრამ საკითხავია, რა მოსაზრებით გამოესარჩლა ადიგენის რაიონის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი კომბინატორ დ. არწივიძეს 1955 წელს, როცა ცეკავშირმა მისი პასუხისგებაში მიცემა სცადა ღვინის საწყობში აღმოჩენილი დანაკლისისათვის, რატომ სცადეს მათ მფარველი კალთა გადაეფარებინათ მფლანგველთა ბრბოს მამამთავრის შ. ერაძისათვის?

ო. დავითიძე.

თბილისის ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიმართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტთა მე-17 სამეცნიერო კონფერენცია. ინსტიტუტის, აზერბაიჯანის ვ. ი. ლენინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისა და მირზა ფატალი ახუნდოვის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა. (მარცხნიდან): ე. შაგინიანი (ერევანი), დ. ბოძაშვილი (თბილისი), მ. აბრაგიმოვი (ბაქო), ა. ზეინალოვი (ბაქო), ბ. ტაგიევა (ბაქო), ა. კალმახელიძე (თბილისი).

სურათზე: კონფერენციის მონაწილენი ხ. ონანოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ჩოხატაურის რაიონმა შეასრულა რძის დამზადების, პირუტყვის სადგომების მშენებლობისა და საკვების დასილოსების გეგმები

ჩოხატაურის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა რძის დამზადების, პირუტყვის სადგომების მშენებლობისა და საკვების დასილოსების წლიური გეგმები. 15 ნოემბრისათვის რძის ჩაბარებისა და სახელმწიფო შესყიდვის გეგმა შესრულებულია 100,1 პროცენტით, პირუტყვის სადგომების მშენებლობისა — 101 პროცენტით, გეგმით გათვალისწინებული 12 ათასი ტონის ნაცვლად დასილოსებულია 15 ათასი ტონა საკვები. (საქდესი).

მოგზაღებული შეეხვდეთ სახალხო სასამართლოების არჩევნებს

მიმდინარე წლის 22 დეკემბერს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში გაიმართება სახალხო სასამართლოების არჩევნები.

სამი წელი სრულდება ჩვენს რესპუბლიკაში სახალხო სასამართლოების უკანასკნელი არჩევნების დღიდან. ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა კავშირის მშრომელებმა მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, ტექნიკისა და მეცნიერების განვითარების დარგში.

სახალხო სასამართლო, რომელიც საბჭოთა სასამართლო სისტემის ძირითად რგოლს წარმოადგენს, იცავს ყოველგვარი ხელყოფისაგან კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა დიად მონაპოვრებს, საბჭოთა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას, მეურნეობის სოციალისტურ სისტემას და სოციალისტურ საკუთრებას, საბჭოთა მოქალაქეების უფლებებსა და ინტერესებს. იგი ულმობლად სჯის სამშობლოს მოღალატეებს, მავნებლებს, სოციალისტური ქონების დამტაცებლებს, ქურდებს და სხვა სახის დამნაშავეებს.

საბჭოთა სასამართლო არა მარტო სჯის დამნაშავეებს, არამედ აგრეთვე მიზნად ისახავს მათ გამოსწორებასა და აღზრდას. სახალხო სასამართლო მთელი თავისი საქმიანობით საბჭოთა მოქალაქეებს ზრდის სამშობლოსა და სოციალიზმის საქმისათვის თავდადების. საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულების, სოციალისტური ხაკუთრებისადმი მზრუნველი მოპყრობის, შრომის დისციპლინის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი ჭეშმარიტი დამოკიდებულების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

სასამართლოების მიერ გამოტანილ მართებულ განაჩენებსა და გადაწყვეტილებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცებისა და მასების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

საბჭოთა სასამართლო მართლმსაჯულების განხორციელებისას დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება. ეს ნიშნავს იმას, რომ სასამართლოს ყოველ საქმეზე განაჩენი ან გადაწყვეტილება გამოაქვს თავისი შინაგანი რწმენის მიხედვით, რაც მტკიცედ უნდა ემყარებოდეს საქმის ფაქტიურ მდგომარეობას და საბჭოთა კანონებს. სასამართლოს თვითეული განაჩენი და გადაწყვეტილება საბჭოთა კანონიერების ზუსტად განსახიერება უნდა იყოს.

სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოთა მსგავსად, საბჭოთა სასამართლო მოწყობილია და მოქმედებს ჭეშმარიტად დემოკრატიულ საწყისებზე. მტკიცედ არის დაცული საბჭოთა სასამართლო სისტემის ყველა რგოლის არჩევითობის პრინციპი. სახალხო მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები ანგარიშვალდებულნი არიან თავიანთი ამომრჩევლების წინაშე.

სასამართლოებში სახალხო მსაჯულების მონაწილეობა მშრომელთა ფართო მასების სახელმწიფო საქმიანობაში ჩაბმის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმაა. სახალხო მსაჯულები მოსამართლის თანაბარი უფლებებით სარგებლობენ.

როგორც სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის მზადება, ისე თვით არჩევნები ჩვენს დიად სოციალისტურ ქვეყანაში მიმდინარეობს მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული საარჩევნო კანონის საფუძველზე. საბჭოთა საარჩევნო სისტემაში გამოხატულია ხალხის ნება. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ჩვენს ქვეყანაში მთელი ძალაუფლება მშრომელებს ეკუთვნით.

სახალხო სასამართლოებს მშრომელები ირჩევენ საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, სამი წლის ვადით. სახალხო სასამართლოების არჩევითობა წარმოადგენს საბჭოთა სასამართლო წყობილების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დემოკრატიულ პრინციპს, რომელიც უზრუნველყოფს მთელი მშრომელი მოსახლეობის ჩაბმას მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში. სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნას სსრ კავშირის ყოველი მოქალაქე, რომელიც საარჩევნო უფლებით სარგებლობს და რომელმაც არჩევნების დღისათვის 23 წლის ასაკს მიაღწია.

მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო უფლებების გაფართოებისა და საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს კანონს „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“. ამ კანონის შესაბამისად სსრ კავშირის გამგებლობაში დატოვებულია მხოლოდ სასამართლოთა მოწყობისა და სამართალწარმოების კანონმდებლობის საფუძვლების, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების დაწესება. ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობისა და სამართალწარმოების კანონმდებლობა, აგრეთვე სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსების მიღება მიკუთვნებული აქვს მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობას. ამ კანონში ნათლად და სრულყოფილად არის ასახული ვ. ი. ლენინის ცნობილი დებულება კანონების ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით შემუშავების შესახებ. „სასამართლოები, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ჩვენში ადგილობრივია... ამიტომ ის ხელისუფლება, რომელსაც პროკურორი გადასაწყვეტად გადასცემს კანონის დარღვევის მის მიერ აღძრულ საქმეს, ადგილობრივი ხელისუფლებაა, რომელიც ვალდებულია, ერთი მხრივ, აბსოლუტურად დაიცვას ერთიანი, მთელი ფედერაციისთვის დაწესებული კანონები, ხოლო მეორე მხრივ, ვალდებულია სასჯელის განსაზღვრის დროს გაითვალისწინოს ყველა ადგილობრივი გარემოება, ამასთან მას უფლება აქვს განაცხადოს, რომ თუმცა კანონი უსათუოდ დარღვეული იყო ამა და ამ შემთხვევაში, მაგრამ ადგილობრივ სასამართლოში გამორკვეული ესა და ეს გარემოებანი, რაც კარგად იციან ადგილობრივმა ადამიანებმა, აიძულებენ სასამართლოს საჭიროდ ცნოს სასჯელის შემსუბუქება ამა და ამ პირების მიმართ, ანდა ესა და ეს პირნი გამართლებულადაც კი ცნოს სასამართლოს წესით. თუ ჩვენ მთელ ფედერაციაში ერთიანი კანონიერების დასაწესებლად ამ უაღრესად ელემენტარულ პირობას არ გავატარებთ რადაც უნდა დაჯდეს, მაშინ კულტურულობის რაიმე დაცვასა და რაიმე შექმნაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია“.

სასამართლოების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით იმ რაიონებსა და ქალაქებში, რომელთა ტერიტორიაზე მოქმედებდა ორი ან მეტი უბნის სახალხო სასამართლო, ეს უკანასკნელნი გაერთიანებულ იქნნენ რაიონის (ქალაქის) ერთიან სახალხო სასამართლოდ. ამ წესით მოწყობილი სახალხო სასამართლო შედგება სახალხო სასამართლოს თავმჯდომარისაგან, სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულებისაგან.

სახალხო სასამართლოებს დიდი და პასუხსაგები ამოცანები აკისრიათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში. ამიტომ სახალხო მოსამართლეებად და სახალხო მსაჯულებად არჩეულ უნდა იქნან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოსადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანები, ფართო განათლებისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე, კომუნისტური მორალითა და მაღალი ზნეობრივი თვისებებით დაჯილდოებული ადამიანები.

არჩევნების დროს არ უნდა დავიწყოთ, რომ ზოგიერთ სახალხო მოსამართლეს ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები აქვს თავის მუშაობაში. მთელი რიგი მოსამართლეები ცუდად არიან დაკავშირებული მოსახლეობასთან, არ აბარებენ ამომრჩევლებს ანგარიშს თავიანთი მუშაობის შესახებ, დროულად არ განიხილავენ მშრომელთა განცხადებებსა და საჩივრებს. ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურებისა და მშრომელთა სამართლიანი მოთხოვნებისადმი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტები. ზოგი მოსამართლე უხეშად არღვევს საბჭოთა მართლმსაჯულებას, მთელ რიგ შემთხვევებში არაობიექტური, კანონსაწინააღმდეგო განაჩენები და გადაწყვეტილებები გამოაქვს. ცხადია, ასეთი ადამიანები არ უნდა ავირჩიოთ მოსამართლეებად. სასამართლო ორგანოებს უნდა ჩამოვაშოროთ ბიუროკრატები და არაკეთილსინდისიერი ადამიანები, რომლებმაც ვერ გაამართლეს ხალხის მაღალი ნდობა.

სახალხო სასამართლოების არჩევნებს დიდი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. მისი მაღალ დონეზე და ორგანიზებულად ჩატარება პარტიული, საბჭოთა და იუსტიციის ორგანოების პასუხსაგები ამოცანაა.

არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარება ხელს შეიწყობს სახალხო სასამართლოების როლისა და ავტორიტეტის კიდევ უფრო ამაღლებას, სოციალისტური კანონიერების, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

ს. როსტიაშვილი,
საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი.

აღვკვეთოთ უდარდელობა ჩაისა და ციტრუსების მოვლა-პატრონობაში

★ ★ ★

საზეიმო დაპირებები და შეუსრულებელი ვალდებულებანი

ოჩამჩირიდან სოფელ ბესლახუბისაკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეზე ყურადღებას იპყრობს ვრცლად გადაშლილი ჩაის პლანტაციები. კარგი მოვლა-პატრონობის პირობებში მათ შეუძლიათ უხვი მოსავლის მოცემა. მაგრამ...

— ვერ შემოღობეს, აქ პირუტყვი თავისუფლად დადის. აი შეხედეთ, თხების ჯოგია პლანტაციებში, — გვითხრეს იქვე მცხოვრებმა კოლმეურნეებმა.

ასეთ პირობებში მყოფი პლანტაცია, ცხადია, მაღალ მოსავალს ვერ მოგვცემს.

— ვისია ეს ნაკვეთი?

— იგი ეკუთვნის ბესლახუბის კოლმეურნეობა „შრომას“, რომლის თავმჯდომარეა დ. შარია, ხოლო ეს ნაკვეთი მეორე ბრიგადისაა. მას ხელმძღვანელობს მ. ბერულავა.

პლანტაციების დათვალიერებამ დაგვარწმუნა, რომ აქ პატივს არ სცემენ ამ ძვირფას კულტურას. რამდენიმე ჰექტარზე ვნახეთ ახალგაზრდა პლანტაცია, რომელსაც მოსავლის მოცემა უკვე შეუძლია. ბალახები ბუჩქებს წამოსწევია. ჩანს, სასუქი შეუტანიათ და ნიადაგი დაუმუშავებელი დაუტოვებიათ.

ვალდებულებების შეუსრულებლობა იშვიათი როდია ოჩამჩირის, გუდაუთის, გალის, გულრიფშის რაიონების მთელი რიგი კოლმეურნეობებისათვის. ამის შედეგად აფხაზეთის მეჩაიეებმა ასობით ტონა ჩაის ნედლეული დააკლეს სამშობლოს. გუდაუთის რაიონში და ზოგიერთი სხვა რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი დროულად ვერ მოკრიფეს. იგი გაუხეშდა და უვარგისი გახდა. ასე რომ არ ყოფილიყო, წელს აფხაზეთი ქვეყანას არა მარტო 15.568 ტონას, არამედ ბევრად უფრო მეტ ნედლეულს მისცემდა.

ეს ფაქტები დამაფიქრებელია. მეჩაიეობის რაიონებში ახლაც ნელი ტემპით მიმდინარეობს საშემოდგომო სამუშაოები. მიუხედავად ხელსაყრელი ამინდებისა, ლაო ჩაის დამზადების გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 88,4 პროცენტით. არ ჩქარობენ პლანტაციების გადაბარვას, ციტრუსოვანთა ფუმიგაციას, შესაფუთი მასალების მომზადებას. ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა გუდაუთისა და გაგრის რაიონებში.

საქსოფლმომარაგების აფხაზეთის კანტორის, რომელ საწყობშიც უნდა მიხვიდეთ, ყველგან დიდი რაოდენობით არის დაგროვილი მინერალური სასუქები. ასეულ ტონობით სასუქი ღია ცის ქვეშ ყრია და ხარისხს ჰკარგავს. ასეა ოჩამჩირეში. აქ რკინიგზის სადგურთან მინდვრად დაგროვილია ორას ტონაზე მეტი სასუქი. იგი კოლმეურნეებს არ გააქვთ. სომხური ათარის კამოს სახელობის კოლმეურნეობას 83 ტონა აქვს გასატანი. ეს მაშინ, როცა მას სასუქი ძლიერ ესაჭიროება ჩაისა და თამბაქოს პლანტაციებისათვის. მსგავსი მდგომარეობაა ბედიის, ჭლოუს და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში.

ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობებს დღემდე მართებთ შარშან და წელს გატანილი სასუქების საფასური 241.000 მანეთი. ტაძიმის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას მარშანდელი დავალიანება 16.900 მანეთი და წლევანდელი 15.700 მანეთი არ გადაუხდია.

ჩაისთან ერთად აფხაზეთის კოლმეურნეობებში შეიმჩნეველოვანი ადგილი უჭირავს ციტრუსებს. მათი მოვლა-დამუშავებაც არადამაკმაყოფილებელია. ბევრგან პლანტაციები განადგურების გზაზეა. ციტრუსოვანთა გაშენების ვადებიც დაარღვიეს. წელს 189 ჰექტარი პლანტაცია უნდა გაეშენებინათ. რგვის აგროვადები გავიდა, დავალება კი მხოლოდ 87 პროცენტით არის შესრულებული.

აფხაზეთის მეჩაიეები, მეციტრუსეები სპეციალურ თათბირებზე და კოლმეურნეობების წევრთა კრებებზე საზეიმო დაპირებებს იძლევიან, მნიშვნელოვან ვალდებულებებს კისრულობენ, სოციალისტურ შეჯიბრებაშიც იწვევენ ერთმანეთს, მაგრამ დადებულ პირობას ვერ ასრულებენ. როდემდის უნდა გაგრძელდეს ასე?

ამას უნდა ჩაუფიქრდნენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, ამთავითვე უნდა განახორციელონ გადამჭრელი ღონისძიებანი, რომ მომავალ წელს სამშობლოს მისცენ ჩაის მეტი ნედლეული და ციტრუსოვანთა უხვი მოსავალი.

ნ. ჯანჯღავა,
ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

საბინაო ფონდს—ყოველდღიური მზრუნველობა

„კომუნისტის“ რეიდი

— ზამთარი მოახლოვდა. ხვალ რომ თოვლი მოვიდეს, მზად ვართ კომუნალური ფონდის ყველა სახლში დავანთოთ ცეცხლიო, — განაცხადა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ვ. ჩომახიძემ.

მართლაც, შარშანდლისაგან განსხვავებით, ქალაქის საბინაო მეურნეობის სამმართველომ წელს დროულად დაიწყო მზადება გათბობის სეზონისათვის. იმ კომუნალურ სახლებში, რომლებსაც ცენტრალური გათბობა აქვთ, მიზნადულია 6 ათასამდე ტონა ქვანახშირი, გათბობის მთელი სეზონისათვის საჭირო მარაგის 80 პროცენტი, შეკეთდა და წესრიგზეა მოყვანილი ყველა საქვაბე მეურნეობა, მომარაგებულია სათადარიგო ნაწილები, შერჩეულია ცეცხლფარეშთა კადრები, რომლებიც ამჟამად კვალიფიკაციას იმაღლებენ სპეციალურ კურსებზე.



ყოველივე ეს კარგია და მისასალმებელი. ამ წარმატებაში თავისი გამოხატულება ჰპოვა ქ. რიგის მშრომელებთან ჩვენი ქალაქის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების ძალამ. მაგრამ არის ერთი მეტად სერიოზული, ბევრ შემთხვევაში მოუგვარებელი საქმე, რომელიც ძლიერ აწუხებს და აფიქრებს თბილისის მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს. ეს გახლავთ საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობა.

ზემდგომ ორგანოებს არაერთხელ სავსებით სამართლიანად გაუკრიტიკებიათ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოები იმისათვის, რომ ისინი არასაკმაო ყურადღებას აქცევენ საცხოვრებელი სახლების რემონტსა და დაცვას. მართლაც, საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალური რემონტის სამმართველოს, საქალაქო და რაიონულ საბინაო სამმართველოებსა და სარემონტო კანტორებს ჯერ კიდევ არ გარდაუმნიათ მუშაობა ახალი ამოცანების შესაბამისად, მათ ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლი აქვთ საცხოვრებელი სახლების რემონტისა და მოვლის საქმეში. ამას მოწმობს „კომუნისტის“ რედაქციაში შემოსული მშრომელთა წერილები და საჩივრები, ამასვე ადასტურებს ახლახან ჩატარებული რეიდის შედეგები.

მობინადრეების შ. ურუშაძის, ს. სალიას, პ. ქვანიას, პ. ცინცაძის, ა. რამიშვილის, ნ. წერეთლის და სხვათა მიერ რედაქციაში გამოგზავნილი საჩივრების შემოწმებამ დაგვანახვა, რომ კალინინის რაიონის საბინაო სამმართველო და სარემონტო კანტორა შეუწყვეტელ უსულგულობას იჩენენ მშრომელების კანონიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისადმი. დიდი ხანია ავარიულია № 24 სახლი ძნელაძის ქუჩაზე. პირველ სართულზე საპირფარეშოსთან იატაკი ნახევარი მეტრის სიღრმეზეა ჩაწეული, დაბზარული კედლები ალაგ-ალაგ ბიგებით არის დამაგრებული. დერეფანში წყალი ჩამოდის და იატაკი დამპალია, სარდაფს ერთ ადგილას აგურის ბოძი გამოეშალა, ხოლო შეშის საწყობს კედელი გადმოენგრა. საბინაო სამმართველო კი უმოქმედობას იჩენს. განკარგულებები, რომლებიც საბინაო სამმართველოს უფროსმა ნ. ვაშაკიძემ და მთავარმა ინჟინერმა დ. არეშიძემ მისცეს სახლმმართველს ქ. კალაძეს ზოგიერთი გადაუდებელი სამუშაოს შესრულების შესახებ, კვლავ და კვლავ შეუსრულებელია. ამავე რაიონის სარემონტო კანტორამ წელს შეაკეთა წულუკიძის ქუჩის № 7 სახლი, მაგრამ რა ფასი აქვს ისეთ რემონტს, როცა ოთახებში კვლავ წვიმა ჩამოდის, ა. რამიშვილის, ნ. წერეთლისა და თ. ცხოვრებაშვილის საერთო საზარეულოს ჭერი და კედლები შეულესავი?! იმ უამრავ დეფექტებში, რომლებიც რემონტის შემდეგ დარჩა ამ სახლში, ბრალი მიუძღვით სამუშაოთა მწარმოებელს შ. გამყრელიძეს, ტექნიკურ ზედამხედველს გ. კაზაროვსა და სახლმმართველს კ. კამკამიძეს. ანალოგიური მდგომარეობაა ძერჟინსკის ქუჩა № 10/2 სახლში, აქ წელს ჩატარდა რემონტი, მაგრამ სახლი კვლავ ავარიულ მდგომარეობაშია. სახლმმართველ თ. ხაჩიურის უპასუხისმგებლობით აიხსნება ის ფაქტი, რომ ინგირის ქ. № 7-ში მობინადრე ს. სალიას ოთახიდან წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდა წყალსაზომის გატანა, რომელიც ნახევრადსარდაფის ისედაც ნესტიან ოთახს კიდევ უფრო ანესტიანებს.

წვიმა ჩამოდის და აუცილებელ შეკეთებას მოითხოვს პ. ქვანიას ბინა ათარბეგოვის ქ. № 34-ში, გ. გოგიჩაშვილის ბინა ყიფიანის ქ. № 34-ში, პ. ცინცაძის ბინა ყიფიანის ქ. № 6-ში და სხვ. კალინინის რაიონის საბინაო სამმართველოს მუშაკები ამ მობინადრეთა კანონიერ მოთხოვნებს უგულებელყოფენ.

სტალინის რაიონის საბინაო სამმართველოს მიმართ სამართლიან საყვედურს გამოთქვამენ ფიროსმანის ქუჩის № 25 სახლის მობინადრეები. წლების განმავლობაში არავინ ზრუნავს მათი კანონიერი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. 30 წელიწადია სახლი არ შეკეთებულა, დიდი ხანია ავარიულია. თ. კიკნაძის, ა. გოდერძიშვილის, მ. გოგილაშვილის ბინებში წვიმა ჩამოდის, სახურავი აქა-იქ ჩანგრეულია, ვ. თხელიძის აივანზე გავლა სახიფათოა.

დიდ თანხას და საშუალებებს როდი მოითხოვს საბჭოს ქუჩაზე № 96 სახლში იმ აივნისა და ხიდის შეკეთება, რომელზეც გ. კოტარიას და ი. ძიძიგურის ოჯახების წევრებს უხდებათ გავლა. ამ საკითხზე მიმართვები და განკარგულებები უხვად იწერება, საქმე კი არ კეთდება. აქ ყოველ წუთს მოსალოდნელია დამპალი კოჭისა და ფიცრების ჩამონგრევა.

გადაუდებელი შეკეთება ესაჭიროება მარჯანიშვილის ქ. № 16 სახლის სახურავსა და საერთო სარგებლობის სათავსებს (სტალინის რაიონი), ო. წერეთლის ბინას კერესელიძის ქუჩის № 6 სახლში (ორჯონიკიძის რაიონი), გ. სირაძის, მ. სააკოვის და ტ. ქვაბინას საერთო სარგებლობის სამზარეულოს ვარდის ქუჩის № 5 სახლში, აგრეთვე თელავის ქუჩის № 17 სახლის სახურავს (26 კომისრის რაიონი).

უხარისხო, გაჭიანურებულ რემონტზე და მოუთავებელ სამუშაოებზე ატყობინებენ რედაქციას და უკმაყოფილებას გამოთქვამენ გოგებაშვილის ქუჩის მესამე ჩიხის № 5 სახლის მობინადრე გ. დიასამიძე; კალანდაძის ქუჩის № 29 სახლის მობინადრეები ნ. მაჭავარიანი, ლ. გოცირიძე, გ. საყვარელიძე (ორჯონიკიძის რაიონი); ტექნიკური ქუჩის № 8 სახლის მობინადრე გ. ელისაშვილი (სტალინის რაიონი) და სხვები. ყველა ეს სახლი შემოწმებულ იქნა რედიის მონაწილეთა მიერ და აღმოჩნდა, რომ სარემონტო კანტორებისა და საბინაო სამმართველოების მუშაკები რემონტის დროს არ ასრულებენ ყველა იმ სამუშაოს, რაც გადაუდებელია ან ნარჯლიერ ეტაპზე ამ ან მათ ვალისწინებული ანგარიშით არ უშვებენ მობინადრეთა ნებასურვილს, თვითნებურად ადგენენ ზოგიერთ [illegible] ტექნიკურ ცვლილებებს და გადაკეთებას. თანაც ამას ზოგჯერ აკეთებენ გარკვეული დაინტერესებით. ცალკეულ მობინადრეთა სურვილისამებრ უმრავლესობის წინააღმდეგობის მიუხედავად. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია ერთი ფაქტი: ორჯონიკიძის რაიონის სარემონტო კანტორამ წელს ავარიული რემონტი გაუკეთა № 23 სახლს ჯანაშიას ქუჩაზე. სამუშაოთა მწარმოებელმა შ. ჯანიაშვილმა შეაკეთა სახლის არა ის ოთახები და სათავსები, რომლებიც აუცილებელ რემონტს მოითხოვდა, არამედ უმეტესი სახსრები და საშუალებები რატომღაც მოანდომა მოქ. გ. სულაძის ბინის კეთილმოწყობას, თუმცა ამ ბინაში ფაქტიურად არაფერი იყო შესაკეთებელი. სამამულო ომის მონაწილის, პენსიონერ შ. გერმანიზაშვილის ბინა, რომელიც ნახევრადსარდაფს წარმოადგენს, აუცილებელ შეკეთებას მოითხოვდა. რემონტი დიდი ხანია დამთავრდა, მაგრამ ამ ბინაში დღემდის არაფერი გაუკეთებიათ, გ. სულაძეს კი ოთახებში პარკეტი დაუგეს, სამზარეულო და აბაზანა თეთრი შორეულეციის ფილებით მოუპირკეთეს და სხვ. სამუშაოთა მწარმოებელი შ. ჯანიაშვილი ამას თვითნებურად ვერ გაკეთებდა. ცხადია, სარემონტო კანტორისა და საბინაო სამმართველოს ხელმძღვანელებისაგან მას სათანადო დავალება ჰქონდა მიღებული. ბუნებრივია, რომ ამან მობინადრეთა სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია.

უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესდა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მოსახლეობის საბინაო პირობები. მწყობრში ჩადგა ახალი საცხოვრებელი სახლები, ბევრ სახლს გაუკეთდა კაპიტალური, ავარიული და მიმდინარე რემონტი. მაგრამ რეიდის მასალები მოწმობს, რომ არსებული საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობაში მაინც სერიოზული ნაკლოვანებებია. ეს ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ საბინაო სამმართველოებისა და სარემონტო კანტორების ზოგიერთი მუშაკი უპასუხისმგებლოდ მუშაობს, დაუდევრად ასრულებს თავის საშსახურებრივ მოვალეობას,



ხოლო რაისაბჭოს აღმასკომები და მათი თავმჯდომარეები ნაკლებ ზედამხედველობას და კონტროლს უწევენ მათ, ხშირად გულისყურით არ უსმენენ მშრომელთა ხმას, მათს სამართლიან მოთხოვნებს. ისინი, ადგილობრივი საბჭოების ეს ხელმძღვანელები, საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის მდგომარეობას ეცნობიან არა ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით, არამედ წარმოდგენილი ცნობების საფუძველზე, რომლებიც ხშირად გაბერილია და სწორ სურათს არ იძლევა.

„კომუნისტის“ სარეიდო ბრიგადა:
ა. გოგბეჯიშვილი, ნ. საბანაძე, მუშკორები,
ქ. კაჭახიძე, მ. არუშიძე,
„კომუნისტის“ კორესპონდენტები.

პლანტაციების დამუშავება ჭიანურდება

როცა დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში ჩაის საშემოდგომო-საზამთრო ღონისძიებები იწყება, ყველა სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო ძირითადად უკვე დამთავრებულია. ეს საშუალებას აძლევს კოლმეურნეობებს ფართოდ გაიჩაღონ ჩაის პლანტაციებში საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები, მაქსიმალურად გამოიყენონ ამ საქმეზე მთელი შრომითი რესურსები.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ზუგდიდის რაიონში?

ადგილზე შემოწმებამ ცხადყო, რომ 16 ნოემბრისათვის ზუგდიდის რაიონის არც ერთ კოლმეურნეობას დაწყებული არ ჰქონდა ჩაის პლანტაციების გადაბარვა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ახალსოფლის ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელს, რომელმაც სწორედ ამ დღეს დაამუშავა რამდენიმე ჰექტარი ფართობი.

ჩაის საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოებს მოუმზადებელი შეხვდა ზუგდიდის მანქანა-ტრაქტორთა სადგური (დირექტორი ა. ჭეჟია), რომელსაც დღემდე არ დაუმთავრებია კულტივატორების რემონტი, ხოლო შეკეთებული მანქანები სადგურის კარმიდამოს არ გასცილებია.

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებისათვის არასოდეს იმდენი ფოსფოროვანი სასუქი არ გამოუყვიათ, რამდენიც წელს. უფრო მეტიც, თუ წინათ ნიადაგის სტრუქტურის შემქმნელი ამ ძვირფასი სასუქის დიდი ნაკლებობა იგრძნობოდა, წელს ეს მდგომარეობა სავსებით გამოსწორებულია. საქსოფლმომარაგების ზუგდიდის განყოფილების ინგირის საწყობმა სხვადასხვა სახის დიდძალი მინერალური სასუქები მიიღო. მაგრამ რა გამოვიდა! მაშინ როცა საწყობის მუშაკები იმის ფიქრში არიან, თუ სად მოათავსონ სასუქი, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს დღემდე არ უზრუნიათ მის გატანაზე. ეს პირველ რიგში ეხება ფოსფოროვან და კალიუმის სასუქებს, რომელთა პლანტაციებში შეტანა აუცილებელია საშემოდგომო გადაბარვის წინ.

15 ნოემბრისათვის საწყობში და მის ტერიტორიაზე დაგროვილი იყო 2.800 ტონაზე მეტი სასუქები. აქედან ორი მესამედი ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებს ეკუთვნით, ხოლო დანარჩენი—წალენჯიხის რაიონისას. იმის გამო, რომ ახლა საწყობი მეტისმეტად გადატვირთულია, 1.000-1.200 ტონამდე სასუქი ღია ცის ქვეშ ყრია და ფუჭდება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილი აქვს საწყობისათვის სასუქების არათანაზომიერ მიწოდებას. გადის თვეები, როცა საწყობი ერთ კილოგრამ სასუქსაც არ იღებს, ზოგჯერ კი აქ დღეში რამდენიმე ასეული ტონა სასუქი მოდის. ასე მოხდა, მაგალითად, 14 ნოემბერს, როცა ინგირის საწყობში 900 ტონა სასუქი მიიღეს. სწორედ ასეთ შემთხვევაში იწყება გადმოტვირთვის გაწამაწია, ნერვიულობა, რკინიგზის წარმომადგენლებისა და საწყობის მუშაკების შეხლა-შემოხლა.

საჭიროა მომწოდებლებმა — ჩვენი ქვეყნის ქიმიურმა ქარხნებმა, მათ შორის რუსთავის აზოტ-ტუკის ქარხანამ და საქსოფლმომარაგების ხელმძღვანელობამ, რომელიც გეგმავს სასუქების მოწოდებას, ერთხელ და სამუდამოდ მოუღონ ბოლო ასეთ მდგომარეობას.

ნელი ტემპით მიმდინარეობს ჩაის პლანტაციების ფუმიგაცია. 200 ჰექტარის ნაცვლად კოლმეურნეობებს ეს სამუშაო შესრულებული აქვთ 125 ჰექტარზე.

წელს ზუგდიდის რაიონის მშრომელებმა 85 პროცენტით შეასრულეს ჩაის კრეფის დავალება, რაც ამინდის რთულ პირობებთან ერთად იმითაც უნდა აიხსნას, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში სათანადო აგროტექნიკური ღონისძიებები არ განუხორციელებიათ. ჩაის საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოთა დაბალი ტემპი ცხადყოფს, რომ რაიონში ამ საგულისხმო ფაქტიდან ახლაც არ აპირებენ სათანადო დასკვნის გამოტანას, რაც საბოლოო ანგარიშით მოსავლიანობის შემცირებას გამოიწვევს.

ზ. ზუკაკიშვილი,
ბ. მილიუტინი.
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

აფხაზეთის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა

მამაცი ხალხის სიმღერები და ცეკვები

...რუსთაველის სახელობის თეატრი ხალხით არის გაჭედილი. ისსნება ფარდა, და წარმტაცი პეიზაჟის ფონზე მაყურებელთა წინაშე წარდგება ლამაზი კოსტიუმებით გამოწყობილი გუნდი. იგი დიდი აღფრთოვანებით ასრულებს „სიმღერას პარტიაზე“, რომლის სიტყვები ეკუთვნის აფხაზეთის ასსრ სახალხო პოეტს დ. გულიას და რომელიც ანსამბლისათვის მუსიკალურად დამუშავებულია აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ი. ლაკერბაის მიერ.

შესანიშნავად ჟღერდა აგრეთვე „სიმღერა თბილისზე“ (სიტყვები ტ. ჩხაიძისა, მუსიკა მ. შუკვანისა). განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სოლოს შემსრულებელი მომღერლები გ. შაკაია, გ. ფარულავა და აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ა. ბიბილეიშვილი. უკვე ამ ორმა მონუმენტურმა სიმღერამ სავსებით ცხადყო შემსრულებლობითი შესაძლებლობანი აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის საგუნდო კოლექტივისა.

ეს ნიჭიერი ანსამბლი ჩამოყალიბდა 1930 წელს აფხაზეთის ასსრ ქალაქებისა და სოფლების მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეთაგან. ამჟამად ანსამბლის რეპერტუარშია ორასზე მეტი აფხაზური, ქართული, მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების, სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების ხალხთა სიმღერა და ორმოცზე მეტი სხვადასხვა ხასიათის ცეკვა.

მე მინდა ქორეოგრაფიულ ხელოვნებაზე ლაპარაკით დავიწყო გადმოცემა შთაბეჭდილებისა, რომელიც ჩემზე აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტმა მოახდინა.

კონცერტის ქორეოგრაფიული განყოფილება დაიწყო აფხაზური მასობრივი ხალხური ცეკვით „აიბარკრა-შარატინით“, რომელიც ვ. აჩბას მიერ არის დადგმული. ხალხური ცეკვის ხელოვნების ყველა მუშაკი კარგად ვიცნობთ აფხაზური ფოლკლორის ამ შესანიშნავ მცოდნეს, ბრწყინვალე მოცეკვავეს. ხსენებულ ცეკვაში ვ. აჩბამ მთლიანად გვიჩვენა თავისი მაღალი გემოვნება და სტილის დახვეწილი გრძნობა. „აიბარკრა-შარატინი“ ორი ცეკვისაგან შედგება; სიტყვა „აიბარკრა“ ნიშნავს ფერხულს; მას ჩვეულებრივ ასრულებენ ზეიმის დროს, მაგალითად, ქორწილის, ნადიმის დროს და სხვ. „აიბარკრას“ ასრულებენ ქალები და მამაკაცები გუნდის სიმღერის ხმაზე; ისინი ფერხულს უვლიან ჯერ ნელი ტემპით, ხოლო შემდეგ, თვალისთვის თითქოს შეუმჩნეველად, გადადიან დაჩქარებულ ცეკვა „შარატინზე“.

არსებითად რომ ვთქვათ, სწორედ ამ ცეკვამ „აიბარკრა-შარატინმა“ ყველაზე მკაფიოდ და სრულად გაგვაცნო აფხაზური ცეკვის ფოლკლორი, რადგან დანარჩენი ცეკვები, ჩვენ ვლაპარაკობთ ი. ციმაკურიძის დადგმებზე, წარმოადგენენ ქორეოგრაფიულ ეტიუდებს, ასე ვთქვათ, ხალხური ცეკვების „თემაზე“. მართალია, აფხაზური ქორეოგრაფიული ფოლკლორის ნიშნები აშკარად იგრძნობა იმ ცეკვაში, რომელსაც ბრწყინვალედ ასრულებს ალექსი ჩუბლია.

ძალიან გვაინტერესებდა ცეკვა „ქართული“. უნდა აღინიშნოს, რომ ვენერა ფირცხელავა და მიხეილ კაკაბაძე ჩასწვდომიან „ქართულის“ აზრსა და სტილს — მათი შესრულებით ამ ცეკვას ისეთი ხასიათი აქვს, როგორც ამაღლებული და კეთილშობილური სიყვარულის პირველი გრძნობის ურთიერთისათვის გამხელას ახალგაზრდების მიერ.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ლირიკული, პოეტური ცეკვა „სატრფიალო“, რომელიც მსუბუქად, მოხდენილად შეასრულეს მიხეილ კაკაბაძემ და ვენერა ჯიქირაძამ.

ი. ციმაკურიძემ ბევრი გონებამახვილობა გამოიჩინა თავისი ქორეოგრაფიული კომპოზიციებისთვის „ლბრეტოს“ შედგენაში ავიღოთ თუნდაც „ცხენოსანთა ცეკვა“. საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვეს სოლოს შემსრულებელმა მოცეკვავეებმა გივი ჩახავამ, სერგი წოწონავამ, თენგიზ დავითაიამ, რუშბეი ირძმავამ.

კარგად მოფიქრებული და შესრულებულია განწყობილებისა და შინაარსის მხრივ სხვადასხვა ორი ცეკვა — მონადირეებისა და პარტიზანებისა. პირველი ცეკვა ლირიკის ელემენტებს შეიცავს, მეორე, პირიქით, გმირულია. ამ ცეკვაში თავი ისახელეს ვენერა ფირცხელავამ, ალექსი ჯენიამ, ვლადიმერ ჯანელიძემ, გივი ჩახავამ.

ქორეოგრაფმა ლიუდმილა ჩიხლაძემ დადგა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ცეკვები — უკრაინული, მოლდაური, აგრეთვე ბულგარული ცეკვა. დამდგმელსა და შემსრულებლებს მათში სწორად აუთვისებიათ დამახასიათებელი ხალხური მოძრაობანი.

ვამთავრებ რა ცეკვისაგან მიღებულ ჩემს შთაბეჭდილებათა აღწერას, მინდა ვთქვა, რომ ყველა მოცეკვავე — ქალი და ვაჟი — ფლობს დიდად განვითარებულ ტექნიკას, რომელიც ვაჟებს ნამდვილ ვირტუოზულობამდე აქვთ აყვანილი, მოცეკვავეთა მოძრაობანი რიტმულად მკაფიო, ნარნარი და მსუბუქია. მაგრამ ამ დადებით თვისებათა აღნიშვნასთან ერთად მინდა გუსურვო დამდგმელს ი. ციმაკურიძეს, რომ ნაკლებად იყოს გატაცებული მარტო ვირტუოზულობით, ასწავლიდეს მსახიობებს ცეკვის მეშვეობით სახის გახსნას, როგორც ამას ქორეოგრაფიის ხელოვნება მოითხოვს.

ვუბრუნდები რა ანსამბლის ვოკალურ ჯგუფს, უნდა აღვნიშნო მთავარი დირიჟორის, ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელის, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის რაჟდენ გუმბას, აგრეთვე დირიჟორ ბაგრატ ბალათელიას ნაყოფიერი მუშაობა.

რაჟდენ გუმბა ღრმად გრძნობს შესასრულებელი სიმღერის ბუნებას, მის განწყობილებას და თავისი ხელების მეტყველი მოძრაობით გადასცემს მას მომღერლებს. სწორედ ამიტომ საგუნდო ჯგუფის შესრულებაში თანაბრად კარგად ჟღერს ესოდენ სხვადასხვა სტილის სიმღერები: გმირული აფხაზური სიმღერები, რომლებიც შორეული წარსულის ამბებზე მოგვითხრობენ, — „ფშკიაჩი“ (სოლისტები რ. ხაგბა, ა. კოვე და კ. ბღანბა), „ოზბეკი“ (სოლისტები ა. კოვე, ვ. ცარგუში და აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ა. ბიბილეიშვილი), დრამატული შინაარსის აფხაზური ხალხური სიმღერა დაჭრილი გმირისა (სოლისტი ა. კოვე), აფხაზური იავნანა „შიშ-ნანი“ (სიტყვები ბ. შინკუბასი, მუსიკა ი. ლაკერბაისი), რომელშიც სოლოს ასრულებს საქართველოს ახალგაზრდობის პირველი ფესტივალის ლაურეატი ზოია ანშბა, სახუმარო სამიჯნურო სიმღერა ზინაიდა გუმბას და ანატოლი ხაგბას შესრულებით. თანამედროვე თემებისადმი მიძღვნილი „ანტიცა“ (სიტყვები და მუსიკა ი. ლაკერბაისი), „სიმღერა ჩაის მკრეფავებზე“ (სიტყვები ბ. შინკუბასი, მუსიკა რ. გუმბასი), ქართული ხალხური სიმღერა „მეტივური“ და სხვები საინსტრუმენტო ჯგუფს კარგად დირიჟორობს ი. შამბა.

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გამოსვლები მკაფიოდ ადასტურებენ აფხაზი ხალხის მაღალ მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ კულტურას.

ნინო რამიშვილი,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი,
სტალინური პრემიის ლაურეატი.

ხურათზე: აფხაზეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მოცეკვავეთა ჯგუფის გამოსვლა. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სკოლას მასწავლებელთა კადრები ესაჭიროება

ამ შვიდი წლის წინათ ტყიბულში გაიხსნა მუსიკალური სკოლა. წლების განმავლობაში იგი ნაყოფიერად მუშაობდა, მეშახტეთა ბავშვებს საფუძვლიან მუსიკალურ განათლებას აძლევდა.

სამწუხაროდ, ამ ბოლო წლებში აქ მუსიკალური თეორიისა და პრაქტიკის სწავლება გაუარესდა. ეს უწინარეს ყოვლისა გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო სრულებით არ იჩენს ინტერესს სკოლის მუშაობისადმი. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სამინისტროდან აქ ერთხელაც არ ჩამოსულან, არ გაცნობიან საქმის მდგომარეობას.

რა მხრივ ესაჭიროება სკოლას დახმარება? პირველ რიგში მუსიკის მასწავლებელთა კადრებით. წელს ამ სკოლაში 7 კლასია 170 მოსწავლით, მასწავლებელი კი მხოლოდ ხუთია.

მასწავლებელთა კადრების სიმცირემ სასწავლო წლის დასაწყისიდან არევ-დარევა შეიტანა მუსიკისმცოდნეობის საგნების სწავლებაში. თითქმის ყველა მასწავლებელი მეტისმეტად არის დატვირთული.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მუსიკალურ სკოლას ადგილზეც ნაკლებად ეხმარებიან. ვერ იქნა და სკოლას დღემდე ვერც სპეციალური შენობა აუშენეს, ვერც შესაფერისი სადგომი გამოუძებნეს. მას ოთხი პატარა ოთახი უჭირავს, რომელთა საერთო ფართობი 45 კვადრატული მეტრია. სკოლას აკლია მუსიკალური ინსტრუმენტები და თვალსაჩინოობის საშუალებანი.

საინტერესოა როდის მიაქცევენ ყურადღებას ტყიბულის მუსიკალურ სკოლას საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და რაიონის ხელმძღვანელები?

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ბიუროკრატიული კონვეიერი“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 27 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილ ფელეტონში მხილებული იყო ქუთაისში ურიცკის ქუჩის II შესახვევის № 22 სახლში მცხოვრები პ. დალაქიშვილის ოჯახის მიერ მეზობლების შევიწროების ფაქტი. აგრეთვე ის ბიუროკრატიული კონვეიერი, რომელიც ამ საქმესთან დაკავშირებით სრული დატვირთვით მუშაობდა ქალაქის საბჭოს აღმასკომის კომუნალურ განყოფილებაში, ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში და სხვ.

ფელეტონთან დაკავშირებით საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. გვახლიამ გვაცნობა, რომ ფელეტონში აღნიშნული ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაევალა მიიღოს ზომები იმისათვის, რომ პ. დალაქიშვილის ოჯახმა ამოაშენოს საერთო სარგებლობის აივანში თვითნებურად გაკეთებული კარი, მოარღვიოს ღია აივანი სახლის უკანა მხარეზე და მიადგას კიბე პროექტის შესაბამისად.

რედაქციამ შეამოწმა ამ დავალების შესრულება. გამოირკვა, რომ

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ამხანაგ ანტონინ ზაპოტოცკის დაკრძალვა

პრაღა, 18 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიის ხალხი გამოეთხოვა თავის პრეზიდენტს, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს ამხანაგ ანტონინ ზაპოტოცკის.

ნაშუადღევს კუბოსთან მივიდნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, ანტონინ ზაპოტოცკის ახლო თანამებრძოლნი — ამხანაგები კარელ ბაცილეკი, რუდოლფ ბარაკი, იაროსლავ დოლანსკი, ზდენეკ ფირლინგერი, ვაცლავ კოპეცკი, ანტონინ ნოვოტნი, ვილიამ შიროკი და სხვები.

დარბაზში არიან საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაური სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი კ. ე. ვოროშილოვი და უცხოეთის დელეგაციათა მეთაურები, რომლებიც ჩამოვიდნენ ა. ზაპოტოცკის დაკრძალვაზე, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, ეროვნულ ფრონტში შემავალი პარტიების თავმჯდომარეები, მთავრობის წევრები.

ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ჰიმნია შესრულების შემდეგ სამგლოვიარო სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ვილიამ შიროკიმ.

ჯერეროვნად შეაფასა რა ანტონინ ზაპოტოცკის დამსახურება ჩეხოსლოვაკიის ხალხის წინაშე, ამბ. შიროკიმ თქვა:

ძვირფასო ამხანაგო ზაპოტოცკი! შენმა უდროოდ გარდაცვალებამ ღრმა მწუხარება გამოიწვია ჩვენს გულში. მაგრამ რაც უფრო დიდია ჩვენი მწუხარება შენი გარდაცვალების გამო, მით უფრო მტკიცეა ჩვენი რწმენა ჩვენი წმიდა საქმის გამარჯვებისადმი. ეს არის რწმენა ჩვენი ჩეხოსლოვაკიის სახელოვანი კომუნისტური პარტიისადმი, რწმენა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების სიმტკიცის, ძალისა და სისწორისადმი, რწმენა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეის ძალისადმი. ეს არის ურყევი რწმენა, რომ კომუნისტური პარტია ჩვენს ხალხს, ჩვენს ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას მიიყვანს სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებამდე.

როცა კუბო ანტონინ ზაპოტოცკის ცხედრით დაასვენეს საარტილერიო ლაფეტზე, პრაღაში, მთელ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში გაისმა ქარხნების, შახტების, ორთქლმავლებისა და გემების საყვირთა ხმა. რესპუბლიკის მილიონობით მოქალაქემ შეწყვიტა მუშაობა, ქალაქების ქუჩებში შეწყდა მოძრაობა. მთელი ჩეხოსლოვაკია პატივს სცემს თავისი პრეზიდენტის ხსოვნას. იწყება ჩეხოსლოვაკიის ხალხის დიდი შვილის უკანასკნელი გზა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დედაქალაქის ქუჩებით.

შემდეგ პროცესია მიემართება ვლტავის სანაპიროთი, შკერმას სახელობის ხიდის გავლით. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობასთან პროცესია 5 წუთით შეჩერდა და კელავ განაგრძო გზა.

მთელ გზაზე კრემლიდან ვაცლავის მოედნამდე ქუჩების გასწვრივ შეიკრება ასეთასობით მშრომელი, რათა უკანასკნელად გამოთხოვებოდნენ თავიანთ დიდ თანამემამულეს. კრემლიდან ვაცლავის მოედნამდე სამგლოვიარო მსვლელობა ორ საათზე მეტს გაგრძელდა.

15 საათსა და 15 წუთზე ადგილობრივი დროით სამგლოვიარო პროცესიის წინა კოლონა შევიდა ვაცლავის მოედანზე. კუბო განსვენებული პრეზიდენტის ცხედრით გადმოიღეს ლაფეტიდან და დაასვენეს სამგლოვიარო კვარცხლბეკზე ტრიბუნასთან. ტრიბუნაზე ავიდნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, მთავრობის წევრები, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, ეროვნული ფრონტის ორგანიზაციათა ხელმძღვანელნი, უცხოეთის დელეგაციათა წევრები, სადაც ჩამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ანტონინ ზაპოტოცკის დაკრძალვაზე. გაისმის სახელმწიფო ჰიმნის მუსიკა, გრიალებს საარტილერიო სალუტის ზალპები.

სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ამბ. ა. ნოვოტნიმ.

ამხ. ა. ნოვოტნიმ დაახასიათა სახელოვანი ცხოვრების გზა ანტონინ ზაპოტოცკისა, რომელიც 50 წელზე მეტ ხანს იყო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის, სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლის პირველ რიგებში.

ამ მიზნის განხორციელებას, თქვა ა. ნოვოტნიმ, ამხანაგმა ზაპოტოცკიმ მოახმარა მთელი თავისი ძალღონე, კომუნისტ-პროლეტარის კეთილშობილური სული და გმირული გული. ამიტომ ამხანაგ ზაპოტოცკის სახელი ძვირფასია და მარად ძვირფასი იქნება ჩვენი პარტიისა და მთელი ჩვენი ხალხისათვის. მას მუდამ პატივისცემით წარმოთქვამენ მთელი მსოფლიოს მუშები და ყველა პროგრესული ადამიანი.

ამხანაგი ანტონინ ზაპოტოცკი იყო ერთი მათგანი, ვინც ჩვენში პირველმა შეიგნო ოქტომბრის რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა, ვინც შეიგნო, რომ შიმართულება, რომელიც ოქტომბერმა დაუსახა კაცობრიობას, ყველაზე რეალური და ყველაზე სწორია; რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება მოვიპოვოთ ახალი ცხოვრება, „რომელიც, ბოლოს, ყველგან გაიმარჯვებს. მან შეიგნო, რომ რევოლუციური მარქსიზმის გზა, შაგალითი, რომელიც რუსმა ბოლშევიკებმა მისცეს მთელი მსოფლიოს მშრომელებს, უნდა გახდეს აგრეთვე ჩვენი მუშათა კლასის გზა. მუდამ ვიაროთ ლენინთან ერთად, მუდამ ვიაროთ საბჭოთა კავშირთან ერთად, ვიაროთ კომუნისტურ ინტერნაციონალთან ერთად — ეს იყო მისი ურყევი რწმენა საბჭოთა კავშირში პირველი ვიზიტის შემდეგ.

ორატორმა აღნიშნა, რომ ა. ზაპოტოცკის ღრმად სწამდა მუშათა კლასის ძალები, მუდამ იყო ხალხის შუაგულში, სწამდა სოციალიზმის საქმის საბოლოო გამარჯვება.

სიკვდილმა ხელიდან გამოგვტაცა, თქვა დასასრულ ა. ნოვოტნიმ, რესპუბლიკის პირველი მუშა. მაგრამ მისი შრომა ცოცხლობს. ჩვენ ურყევად განვაგრძობთ სოციალიზმის მშენებლობის საქმეს, რომელიც 1945 წელს დავიწყეთ. ყოველგვარი შესუსტება ჩვენს მუშაობაში იქნებოდა უკანგადადგმული ნაბიჯი. ჩვენს წინაშე ცოტა ამოცანა როდი დასახული. ამ ამოცანების შესრულება თვითეული ჩვენგანისაგან მოითხოვს სიმტკიცეს, თავგანწირვას, ენთუზიაზმს, შეუღრეკელ მისწრაფებას გადალახოთ ყველა დაბრკოლება, ესე იგი იმ თვისებებს, რომლებიც ახასიათებდა ამხანაგ ზაპოტოცკის.

ბრძოლებში გამობრძმედილი ჩეხოსლოვაკიის ერთიანი კომუნისტური პარტია, რომელსაც მეთაურობს გამოცდილი და მონოლითური ცენტრალური კომიტეტი, თავისი დიდი შვილის კლემენტ გოტვალდის ანდერძისადმი ერთგული პარტია გაუძღვება ჩვენს ხალხს ახალ-ახალი გამარჯვების მოსაპოვებლად.

სიტყვა ეძლევა კ. ე. ვოროშილოვს.

ანტონინ ზაპოტოცკი, თქვა კ. ე. ვოროშილოვმა, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე იდგა ჩეხოსლოვაკიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოწინავე რიგებში, მთელ თავის ძალღონეს ახმარდა გმირულ ბრძოლას მშრომელთა განთავისუფლებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის დიდი იდეალების განხორციელებისათვის.

სიკვდილმა ჩვენი რიგებიდან გამოგვტაცა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, გამოჩენილი პროლეტარული რევოლუციონერი და სახელმწიფო მოღვაწე. მან განვლო სახელოვანი გზა მუშიდან ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტამდე.

შრომისმოყვარე და დიდად ნიჭიერ ჩეხოსლოვაკიის ხალხს, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას შეუძლიათ იამაყონ იმით, რომ მათ აღზარდეს ხალხის ბედნიერებისათვის ისეთი მებრძოლი, როგორიც იყო ანტონინ ზაპოტოცკი.

ილაპარაკა რა ანტონინ ზაპოტოცკის ცხოვრებაზე, კ. ე. ვოროშილოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი იყო მშრომელთა დიადი არმიის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული მებრძოლი, უაღრესად ერთგული პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა. მთელი მისი ცხოვრება აღსავსე იყო ზრუნვით პროლეტარული სოლიდარობის, სოციალისტური ქვეყნების მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის განმტკიცებისათვის.

ამტრონინ ზაპოტოცკიმ, განაგრძო კ. ე. ვოროშილოვმა, ბევრი რამ გააკეთა საბჭოთა კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის ურღვევი მეგობრობისა და მჯიდრო კავშირის განმტკიცებისა და შემდგომი განვითარებისათვის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და ჩვენი ქვეყნის კომუნისტური პარტიის ძმური კავშირურთიერთობის განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, საბჭოთა ხალხი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ განუწყვეტლივ იზოდებოდეს და ვითარდებოდეს ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, რომელიც გახმტკიცებულია მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი ხალხების სტუკეთესო შვილების მიერ დაღვრილი სისხლით. ჩვენი მეგობრობა სამარადისოა!

კ. ე. ვოროშილოვმა გამოთქვა რწმენა, რომ ჩეხოსლოვაკიის შშრომელნი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალ წარმატებებს მიაღწევენ თავიანთი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს განმტკიცებაში და მათ წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრაში.

ტრიბუნაზეა პოლონეთის მთავრობის დელეგაციის მეთაური ა. ზავადსკი. იგი ხაზგასმით აღნიშნავს ანტონინ ზაპოტოცკის უდიდეს დამსახურებას რევოლუციურ საერთაშორისო მოძრაობაში, მის ბრძოლაში სოციალისტური ბანაკის, მუშათა და კომუნისტური პარტიების ერთიანობის განმტკიცებისათვის.

შემდეგ გამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის მეთაური ლი სიან-ნანი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ანტონინ ზაპოტოცკი იყო ჩინელი ხალხის ერთგული მეგობარი, რომ იგი მუდამ ესწრაფოდა ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული თანამშრომლობის განმტკიცებას ჩეხოსლოვაკიისა და დიდი ჩინეთის ხალხებს შორის.

ძიტინგი დამთავრებულია. ორკესტრი ასრულებს საერთაშორისო პროლეტარიატის ჰიმნს „ინტერნაციონალს“. კუბო განსვენებული პრეზიდენტის ცხედრით დასვენეს კატაფალკზე. სამგლოვიარო პროცესია გაემართა პრაღის კრემატორიუმისაკენ. აქ მოხდა კრემაცია. კრემაციის ცერემონიაზე გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ფრანტიშეკ ზუპკამ.

ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲜ ᲜᲝᲕᲝᲢᲜᲘ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘᲐ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲐᲓ

პრაღა, 19 ნოემბერი. (საკდესი). დღეს პრაღის კრემლის ვლადისლავის დარბაზში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრების საზეიმო სესია.

დარბაზში შეიკრიბნენ ეროვნული კრების დეპუტატები, მრავალი სტუმარი, უცხოეთის დელეგაციათა წევრები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ანტონინ ზაპოტოცკის დაკრძალვაში, დიპლომატიური კორპუსის წევრები. დამსწრეთა შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის წევრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის მეთაურობით.

სესია გახსნა ეროვნული კრების თავმჯდომარემ ზ. ფირლინგერმა. მან განაცხადა, რომ კონსტიტუციის საფუძველზე და რესპუბლიკის პრეზიდენტის ანტონინ ზაპოტოცკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ამ სესიამ უნდა აირჩიოს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის სახელით მთავრობის თავმჯდომარეს ვ. შიროკის შეაქვს წინადადება, რომ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულ იქნეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ანტონინ ნოვოტნი. ვ. შიროკი ახასიათებს მას როგორც მუშათა კლასის ერთგულ შვილს, ხალხის ინტერესებისათვის თავდადებულ მებრძოლს, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ უდიდეს მოღვაწეს.

შემდეგ ეროვნული კრების თავმჯდომარე ზ. ფირლინგერი კენჭს უყრის ა. ნოვოტნის კანდიდატურას. კენჭის ყრის შედეგად ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტად ერთხმად იქნა არჩეული ანტონინ ნოვოტნი.

ახლად არჩეულ პრეზიდენტ ანტონინ ნოვოტნის დარბაზში შეკრებილებმა მქუხარე ოვაცია გაუმართეს. ახლად არჩეული პრეზიდენტის პატივსაცემად მიცემულ იქნა საარტილერიო სალუტი. ნაკრებმა სამხედრო ორკესტრმა შეასრულა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი.

როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ანტონინ ნოვოტნი დარჩება ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

* * *

პრაღა, 19 ნოემბერი. (საკდესი). დღეს პრაღის კრემლის ვლადისლავის დარბაზში ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრების სესიაზე გაიშართა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ახლად არჩეული პრეზიდენტის ანტონინ ნოვოტნის მიერ თავისი პოსტის დაკავების ცერემონია.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ ფიცი დადო ეროვნული კრების წინაშე.

ფიცის დადების შემდეგ ეროვნული კრების დეპუტატებმა და სტუმრებმა მქუხარე ოვაცია გაუმართეს ახლად არჩეულ პრეზიდენტს.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲙᲐᲘᲠᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ. ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲘᲧᲝ

კაირო. 18 ნოემბერი. (საკდესი). ეგვიპტის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა გუშინ მიიღო კაიროს მუნიციპალიტეტის დელეგაციის წევრები, რომლებიც ამას წინათ საბჭოთა კავშირში იყვნენ მეგობრული ვიზიტით.

როგორც მენის სააგენტო გადმოგვცემს, დელეგაციის მეთაურმა კაიროს გუბერნატორმა გენერალმა აბდელ ფათაჰ ელ-ბინდარიმ პრეზიდენტს მოახსენა საბჭოთა კავშირში დელეგაციის ყოფნის შესახებ და გადასცა მას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის მისალმება.

გულრიფშის ლენინის სახელობის სანატორიუმში, სადაც 180-მდე დამსვენებელია, უმეტეს შემთხვევაში შეხვდებით სამამულო ომის ვეტერანებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსულან აქ სამკურნალოდ.

გულრიფშის მარადმწვანე ხეივანში ისინი კარგად გრძნობენ თავს და ხშირად იგონებენ ხოლმე წარსულის ამბებს.

ს ურ ა თ ზ ე: დამსვენებელთა ერთი ჯგუფი საუბრის დროს.

ფოტო გ. გოგოხიასი.

კინოფილმი „პოეტის აკვანი“ საქართველოს ეკრანზე

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ გადაღებული მხატვრული კინოსურათი „პოეტის აკვანი“ ამას წინათ დუბლირებულ იქნა რუსულ ენაზე. დუბლირების სამუშაოები შესრულდა სტუდია „ქართულ ფილმში“ მოსკოვისა და თბილისის აქტიორთა ძალებით.

დუბლირებული ფილმი „პოეტის აკვანი“ სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ მიიღო საბჭოთა ეკრანზე გამოსაშვებად.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲓᲒᲛᲐ ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

თბილისის ს. შაუმიანის სახელობის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრმა ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა დრამატურგ ა. ბარსელიანის პიესა „ლიუსი ლისინიანი“. სპექტაკლი თეატრის კოლექტივმა მიუძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

სპექტაკლის დადგმა განახორციელეს თეატრის მთავარმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ფ. ბეჟიანმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მხატვარმა რ. ნალბანდიანმა და ახალგაზრდა კომპოზიტორმა ე. აბრაჰამიანმა.

რევოლუციონერი ქალიშვილის ლიუსი ლისინიანის როლს განასახიერებენ მსახიობები ე. სტეფანიანი და ს. შეკოიანი. წარმოდგენაში მონაწილეობენ აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ა. ლუსინიანი, ლ. ალავერდიანი და ა. ბეროიანი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები დორი-ამირბეკიანი, მ. მოჭორიანი, მსახიობები რ. პაპოვიანი, ა. ჟამკოჩიანი, ა. ქაჯვორიანი და სხვ.

თეატრი ახალგაზრდა მსახიობების მონაწილეობით დასადგმელად ამზადებს ღა უახლოეს დღეებში მაყურებელს უჩვენებს ჯ. ფლეტჩერის კომედიას „როგორ მოვუაროთ ცოლს“.

მ. გარაყანიძე — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის კათედრის დოცენტმა მ. გარაყანიძემ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე დაიცვა დისერტაცია თემაზე „საქართველოს ხით ხუროთმოძღვრება“.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა მ. გარაყანიძისათვის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

Უ ᲯᲝ ᲜᲔᲘᲜᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ

ბათუმი, 19 ნოემბერი. (საკდესი). ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ და მისმა თანმხლებმა პირებმა რესტორანში იმყოფებიან. 18 ნოემბერს მოქალაქეებთან ზმოგზაურე[illegible]

[illegible] ბატონ[illegible] თავმჯდომარემ ა. დ. თხილაიშვილმა დიდი დარბაზობა გამართა ბირმის კავშირის პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და დელეგაციის წევრთა პატივსაცემად. დარბაზობის დროს, რომელმაც მეგობრულ, გულითად ვითარებაში ჩაიარა, უ ჯო ნეინმა თქვა:

— ბატონო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეო!

მეგობრებო!

სანამ სადღეგრძელოს წარმოვთქვამდე, მსურს დიდი მადლობა გადავიხადო გულთბილი მიღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის რაც აქ გაგვიწიეთ. ჩვენს ქვეყანაში არიან ადამიანები, რომელთაც სწამთ წინასწარმეტყველება — ჰოროსკოპი. თუმცა ვეთათბირეთ ჩვენს ვარსკვლავმრიცხველებს-ასტროლოგებს, და ესენი ამბობდნენ, რომ მალე ჩვენს ცხოვრებაში დიდი დღესასწაული იქნებოდა, ჩვენ არ გვწამდა წინასწარმეტყველება, სანამ საბჭოთა კავშირში არ ჩამოვედით. მას შემდეგ, რაც სსრ კავშირში ჩამოვედით, ჩვენ ვიმოგზაურეთ რესპუბლიკიდან რესპუბლიკაში, დედაქალაქიდან დედაქალაქში. ყველგან საბჭოთა ადამიანები თავაზიანები არიან ჩვენდამი. თან მიგვაქვს უაღრესად მშვენიერი მოგონებანი.

ნება მიბოძეთ ვადღეგრძელო აშარის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და მისი შეუღლე.

ნება მიბოძეთ წარმოვთქვა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, მისი აღმატებულების ბატონ ვოროშილოვის სადღეგრძელო, დიდი საბჭოთა ხელმძღვანელების სადღეგრძელო, რომლებმაც თავაზიანად ინახულეს ჩვენი ქვეყანა, სახელდობრ ბატონ ბულგანინისა და ბატონ ხრუშჩოვის სადღეგრძელო, ჩვენი ხალხებისა და ქვეყნების სამარადისო მეგობრობის სადღეგრძელო.

19 ნოემბერს უ ჯო ნეინი და მისი თანმხლები პირები ოდესაზე გავლით სოფიას გაფრინდნენ.

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

18 ნოემბერს ვილნიუსში გაიმართა ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალური ასპარეზობის მეორე ტური.

ამ დღეს შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე საქართველოს წარმომადგენელი ნ. გაფრინდაშვილი შეხვდა კ. სოპროვსკაიას (მოსკოვი). ნ. გაფრინდაშვილმა პარტია ძლიერად ჩაატარა და პირველი გამარჯვება მოიპოვა. ე. კაკაბაძისა და ს. როზენტალის პარტია გადაიდო გაურკვეველ მდგომარეობაში.

ᲡᲐᲥᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲔᲑᲘ

სვერდლოვსკში, კიევსა და ლენინგრადში გრძელდება საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალური შეჯიბრება.

18 ნოემბრამდე გათამაშდა ხუთი ტური. ამ შეხვედრებში ჩვენი ქვეყნის სახელმოხვეჭილ მოჭადრაკეებთან ერთად წარმატებით იბრძვიან ახალგაზრდები.

სვერდლოვსკის ნახევარფინალში ლიდერია საერთაშორისო ოსტატი ვ. სიმაგინი (მოსკოვი), რომელსაც 5 შესაძლებლიდან 4 ქულა აქვს. საქართველოს წარმომადგენელმა ოსტატმა ბ. გურგენიძემ უკანასკნელ ორ ტურში 1½ ქულა შეაგროვა — მოუგო ოსტატ ი. კოცს (სტალინო) და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა გროსმაისტერ ი. ავერბახთან (მოსკოვი). ხუთი ტურის შემდეგ ბ. გურგენიძეს 3½ ქულა აქვს. ამდენივე ქულა აქვთ ვ. კორჩნოის, გ. ბორისენკოს და გ. ილივიცკის.

კიევის ნახევარფინალურ ასპარეზობაში წინა არის გროსმაისტერი ტ. პეტროსიანი, რომელსაც 4 ქულა აქვს.

რედაქტორი პ. რატიანი.

ᲓᲦᲔᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ოპერისა და ბალეტის — სვეტლიეღი დალაქი, **რუსთაველის სახელობის** — ლერწამი ქარში, **მარჯანიშვილის სახელობის** — მზის ამოსელის წინ (სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართული კოლექტივის სპექტაკლი), **გრიბოედოვის სახელობის** — ქარიშხლიანი წელი, **მუსიკალური კომედიის** — საყვარელი დისშვილი, **სომხური დრამის** — დედინაცვალი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ბორის ძნელაძე (აბონემენტი № 7, 7 ს.), **თოჯინების ქართული** — ნუკრი (11 ს.), **ფილარმონია** — კონცერტი დ. გამრეკელის მონაწილეობით (საზამთრო თეატრი, 9 ს.).

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახელობის — ფანფან ტულპანი, **ამირანი** (ფართო ეკრანი) — დები, **ოქტომბერი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი** — გარდატეხა, **ისანი** (საზამთრო), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო), **ოფიცერთა სახლი, ჭავჭავაძისა და ძერჟინსკის სახელობის კლუბები** — წყნარი დონი, **სპარტაკი** — ბორანი, **თბილისი** — დაკარგული სამოთხე, **კომკავშირელი, დიდუბე** (საზამთრო), **კიროვის სახელობის პარკი, სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — ქალის ტვირთი, **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **კოლმეურნე, ყაზბეგი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — დედის სიყვარული, **დიდუბე** (საზაფხულო) — გაზაფხულის ჭირხლი.

ᲓᲘᲡᲔᲠᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

(მელიქიშვილის ქ. № 10)

ა. წ. 3 დეკემბერს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. **ლინა იოსების ასული ერისთავი** — თემაზე: **„იაპონური დარიჩინის ნაყოფის გამოყენება მედიცინაში ხმარებული კაკაოს ცხიმის შემცვლელის მისაღებად“.**

2. **კარლო პარმენის-ძე დემეტრაშვილი** — თემაზე: **„მასალები სანიტარული საქმის ისტორიისათვის საქართველოში — 1801-1917 წწ.“.**

ა. წ. 10 დეკემბერს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად **გიორგი იოსების-ძე მათეშვილი** დაიცავს დისერტაციას, თემაზე: „Роль нервной системы в возникновании и течении гиперергического экспериментального нефрита“.

ა. წ. 12 დეკემბერს დღის 3 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. **მერი ალექსანდრეს ასული დოღონაძე** — თემაზე: **„ქვედა კიდურის მანკიანი ტაკვები, მათი მკურნალობა და შორეული შედეგები“.**

2. **გივი ტარასის-ძე გაბისონია** — თემაზე: „Организация травматологической помощи в Ткварчельском угольном басейне“.

სადისერტაციო შრომების გაცნობა შეიძლება სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრი

20 ნოემბერს

შ. მილორავა

საყვარელი დისშვილი

21 ნოემბერს

დ. არაყიშვილი

დინარა

22 ნოემბერს

გ. ცაბაძე

ახალი სიმღერა

23 ნოემბერს

შ. მილორავა

დალი

24 ნოემბერს

დღისით

ა. კერესელიძე

სამი პატარძალი

საღამოს

დ. არაყიშვილი

დინარა

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 საათზე, დღისით — 12 საათზე.

დედა ნატალია, დები ოლია, თამარ, ძმა სტეფანე შვილებით იუწყებიან

თინა ილიას ასულ ასანიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-XI, 3 ს. ქ. ბორჯომში, გამოსვენება მ. გორკის ქ. № 1.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის თანამშრომლები იუწყებიან

ავქსენტი ფილიპეს-ძე გამსახურდიას

გარდაცვალებას.

შვილები თებრო დოდაშვილი, გიგო, ალექსანდრე ხოსიტაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ოლღა დავითის ასულ ხოსიტაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-XI, 2 ს. სოფელ ბოდბისხევში (სიღნაღის რ.).

მეუღლე ერმონია, შვილები თამარ, გაიოზ, დავით, ძმა იასონ, რძლები არუსიაკა, სონია, შურა, ეუჟენა ოჯახებით იუწყებიან

ალექსანდრე დავითის-ძე ნასყიდაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-XI, 3 ს. გამოსვენება 21-XI, 4 ს. ყიზლარის ქ. № 6.

შვილები ეთერ, ნინო, ალექსანდრე, დები ანა, ლიზა, ძმები ალექსანდრე, გაიოზ, სიძე ა. დანელია ოჯახებით იუწყებიან

არტემ გრიგოლის-ძე ხითარიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-XI 8 ს. გამოსვენება 21-XI, 4 ს. ტორგენევის ქ. № 5.

შვილი ლუბა, სიძე მიხეილ კანანოვები, ძმა გიორგი, და სონია, რძალი ეკატერინე გვენცაძეები, ოთარ, დარიკო, ზურაბ ჯალიაშვილები იუწყებიან

ნინო ალექსის ასულ გვენცაძე-პანდელოვის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-XI, 8 ს. გამოსვენება 21-XI, 4 ს. კალინინის ქ. № 10.

დედა მაშო, მეუღლე მარო, შვილები ცაცა, ცირა, და ბარბარე, ძმა ირაკლი, სიძე ზ. მაჩხანელი ოჯახებით იუწყებიან

ლეონტი ვლადიმერის-ძე მოლოდინის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-XI, 4 ს. მცხეთაში.

მეუღლე შურა, შვილები ნანული, მაყვალა, და ფაცია, ძმები კოტე, დავით ოჯახებით იუწყებიან

გრიგოლ სპირიდონის-ძე მგელაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-XI, 7 ს. გამოსვენება 21-XI, 4 ს. რუსთაველი, პირველი მაისის ქ. № 24.

შვილები ქსენია, სერგ